№ 274

სამშაბათი, 18 დეკემბერი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1901

ივერია

№ 274

სამშაფათი, 18 დეკემბერი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კაპ., მეოთხეზედ—5 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

სპირიდონ გრიგოლის ძე გაგნიძე და ნინო სპირიდონის ასული ჩიქოვანისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას—პირველი ძვირფასის მეუღლისას, ხოლო მეორე დედის

მარიამისას

და სთხოვენ, მობრძანდნენ მიცვალებულის გასვენებაზედ საკუთარ სახლიდგან (ნიკოლოზის ქუჩა № 25) წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში, კუკიაში, ოთხშაბათს, 19 დეკემბერს, დილის 10 საათზედ. პანაშვიდები ყოველ-დღე საღამოს შვიდ საათზედ. (2—252—1).

„ივერია“

გამოვა 1092 წელს

(დაარსებიდგან მე-25 წელიწადს)

გადიდებულ ადგილობრივ რუსულ გაზეთების ფორმატისა, იმავე პროგრამით, როგორც წინად.

თან-და-თანობითი ზრდა მკითხველთა მოთხოვნილებისა და ის გარემოება, რომ ეხლანდელი პატარა ფორმატი გაზეთისა ხშირად ნებას არ გვაძლევს საჭირო საგნებსა და საზოგადო საკითხებს ჯეროვანი ადგილი დაეთმოს ხოლმე,—გვაიძულებს, გავადიდოთ გაზეთი და გივხადოთ იმ ზომისა, რა ზომისაც ტფილისის რუსული გაზეთებია. ჩვენს გაზეთს ამ რიგად მოემატება ნახევარი იმისა, რაც დღეს არის და მკითხველს მისცემს ყოველ დღე 10 სვეტით მეტს საკითხავს მასალას.

რედაქცია ახალის წლიდგან განსაკუთრებულის ყურადღებით მოეპყრობა ჩვენს სასოფლო-სამეურნეო საკითხებს, ეცდება გაამდიდროს სალიტერატურო განყოფილება გაზეთისა და განსაკუთრებით ვრცლად აღნიშნოს ხოლმე ის მოვლენანი და დღენი, რომელთაც ჩვენში თუ შიდა რუსეთში საგანგებო მნიშვნელობა ექნება.

ფასი გაზეთისა ისევ თუმანია.

გაზეთის დასაბარებლად შეიძლება მიჰმართონ

ტფილისში:

„ივერიის“ რედაქციას,

ნიკოლოზის ქუჩა, № 21.

„ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას,

სასახლის ქ., ბანკის ქარვასლა.

ქუთაისში—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში,

ბაქოში—ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოზის ქუჩა, ქალანთაროვის ქარვასლის პირ-და-პირ. **ტელეფონი № 227.**

საფოსტო ადრესი: ТИФЛИСЪ. Редакція „Иверія“.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 20 დეკემბერს 1901 წ.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესები.

I

პედაგოგები

კომედია 3 მოქმედებად ოტტო ერნსტისა, თარგ. **დ. ნახუცრიშვილისა.**

II

თაიგული

ვოდევილი 1 მოქმედებად გადმ. არ. ქუთათელაძის-მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, ლეჟავა, მდივანი. ბ-ნნი გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, სარჯველაძე, იმედაშვილი, ურუშაძე, მირიანოვი, წუწუნავა და სხ. დასაწყისი 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია რეჟისორი ვ. გუნია.

მზადდება წარმოსადგენად: „მუზმუზელა“, თამარ ბატონიშვილი“, „ორი ჯიბგირი“.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1 ს. საღმოთი 6—7 ს. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი. კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 11—12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე. ბავშვებისა. 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი. ნერვებისა და შინაგანი. 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგან და ბავშვებისა. 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი.—10—12 ს. შინაგან ამადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ვისაც ჰსურს **საახალწლოდ სადარბაზოდ სიარულის ნაცვლად** შეწირულობა გაიღოს „ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ, შეუძლიან ფული „ივერიის“ რედაქციაში წარმოადგინოს.

(სარედ.)

1901 წლის 22 დეკემბერს ტფილისის საკრებულო დარბაზში გამართული იქნება წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ

კონცერტი,

რომლის დასასრულ იქნება **ცეკვა** ქართულ-ევროპიული. საღამოს დიასახლისად ბრძანდება ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილი. დაწვრილებით ცნობა თავის დროზე. ბილეთები საზოგადოების კანცელარიაში იყიდება.

იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი

ექიმი

სწამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 ს. აქვს შესახვევი მასალა. ავჭალის ქუჩა, № 85.
(142—242—10).

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი: 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვინერიულ ადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

ლს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშნვით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაურია, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана Тифлисъ, против. памят. Воронцову.

ახალი ამბავი

⁂ ბ-ნ დ. ნახუცრიშვილს გადმოუთარგმნია ცნობილი პიესა ოტტო ერნსტისა, „აღმზრდელი ფლაქსმონი“. ამ პიესამ ერთის წლის განმავლობაში ყველა ევროპის სცენები მოიარა და ეხლა ჩვენ სცენაზედაც დაიდგმის ამ თვის ოცს, ხუთშაბათს.

⁂ კვირას, 16 დეკემბერს, ქართულ თეატრის ფოიეში ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა კრება მოხდა ბ-ნ ვ. სულხანიშვილის თავმჯდომარეობით. კრებამ პირველად გამგეობის მიერ წარდგენილი ამა მიმდინარე წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა განიხილა. შემოსავალი ამ აღრიცხვით ნავარაუდევია 35,900 მანეთი, ამდენიც ხარჯია. მცირე კამათის შემდეგ კრებამ უცვლელად დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა. შემდეგ კრებამ მოისმინა გამგეობის მოხსენება არტისტთა სასარგებლოდ ფონდის დაარსების შესახებ. როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან ამ ფონდის დაარსება წარსულმა კრებამ გადასწყვიტა. მანვე დაავალა გამგეობას გამოსძებნოს წყარონი ფონდის შესადგენად. გამგეობას ჯერ-ჯერობით ასეთ წყაროებად შემდეგი უცვნია: 1) გადასდოს ფონდისათვის სეზონის განმავლობაში ერთის წარმოდგენის წმინდა შემოსავალი, 2) გამართოს დიდმარხვაში სალიტერატურო საღამო, 3) გამართოს ხელის-მოწერა და 4) გადასდოს ფონდისათვისვე ის ფული, რაც ჯარიმებისაგან შესდგება. ამ მოხსენებამ და ქ-ნ საფაროვ-აბაშიძის თხოვნამ პენსიის დანიშნის შესახებ ხანგრძლივი კამათი გამოიწვა. მოხსენება ფონდის შესახებ გამგეობამ მიიღო, ხოლო ქ-ნ საფაროვ-აბაშიძის თხოვნის შესახებ, სცნო რა, რომ საზოგადოებას ამ ჟამად არავითარი სახსარი არა აქვს პენსიის დასანიშნად, დაავალა გამგეობას თვით გადასწყვიტოს ეს საქმე და როგორმე შემწეობა აღმოუჩინოს არტისტ-ქალს. დასასრულ მოხდა არჩევანი სარევიზიო კომისიის და საზოგადოების ახალ წევრთა. სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ თავ. ზაქარია ერისთავი და ივანე მაჭავარიანი ახალი წევრად ცამეტი კაცი ჩაეწერა.

⁂ პოლიციის მე-9 ნაწილის ბოქაულმა აღმოაჩინა ვარვარა სიმონის ძე ქრელაშვილის სადგომში, რევიზიის ქუჩაზე, ბანდაშვილის სახლში, 250 მან. ღირებული ნივთები, მოპარული კავკასიის რკინის გზის მაღაზიიდგან. გამოძიების შემდეგ გამოირკვა, რომ ხსენებული ნივთები უპარნიათ სათითაოდ სამს კაცს: ქუთაისის გუბერნიის ს. ხერსონისში მცხოვრებელს გლეხს სიმონ გოგნიძეს, ამავე გუბერნიის ს. ქრიტესიში მცხოვრებელს ნიკოლოზ სამასურიძეს და იმავე გუბერნიის ს. ვიშხეთში მცხოვრებელს ნიკო ტომარაძეს. ამასთანავე გაუჩხრეკიათ ტომარაძეს ოთახი, სადაც აღმოუჩენიათ სხვა-და-სხვა ნივთები ოთხივე

ფელეტონი

რომელი დასია?..

(საამდროვო ფიქრები).

ჩვენში ხშირია ჩივილი; ჩამოვრჩით სხვებსათ და მართლაც ახლა. - ხალხი, სიღარიბეში ჩავარდნილი და გზა დაბნეული, მეთაურებისაგან მოელის შველას და მეთაურები-კი თვითონ უთაუროდ ებრძვიან ერთმანეთს, თეორიულ, განყენებულ კამათს უნდებიან, დასებს აწყობენ,—საპირადო და საზოგადო საქმეს ერთმანეთში ურევენ, ჰშორდებიან ხალხს და უცხოეთში გაგონილ აზრებით გატაცებულნი, ცდილობენ, თავიანთ ნებაზედ დაატრიალონ საზოგადო ცხოვრების ჩარხი.

ჩვენს საზოგადოებას ყოველგვარი გატაცება აკლია. კერძო ცხოვრებაშიაც საჭიროა გატაცება, რომ ადამიანმა მიაღწიოს სასურველს საგანს,—საკუთარ კეთილდღეობას,—საზოგადო საქმეში-კი გატაცება ისეთი პირობაა, ურომლისოდაც არც საზოგადო მოღვაწე ვარგა და არც საზოგადო საქმის გაკეთებაა შესაძლო.

გატაცებას სარჩულად უდევს ყოველთვის რწმენა, ბრმა რწმენა იმისა, რომ სასურველი საგანი მართლაც მისაღწევია. თვით რწმენა ორნაირია: რაც ვიცი, იმაში დარწმუნებული ვარ, და რაც არ ვიცი, შეიძლება ვირწმუნო; ეს მეორენაირი რწმენა ხშირად ძალიან ძლიერი ყოფილა და ეხლა მხოლოდ იგი გვაქვს სახეში.

ღმერთის ან ქრისტეს არსებობა არ იცის ადამიანმა, მაგრამ სწამს იგი და გატაცებულია კიდეც ამ რწმენით. სწამს ადამიანს პატიოსნების საჭიროება, წინმსვლელობის აუცილებლობა და ერის მომავალი, სწამს რომ ხალხისათვის თავის დადება სათნოებაა—და ასეთი რწმენა ჰქმნის საზოგადო მოღვაწეს, ჰქმნის ერის ისტორიას და გატაცებულ ხალხს სასიცოცხლო ძალასაც ანიჭებს.

წაართვით ადამიანს რწმენა და უმოქმედობას დაიწყებს, წაართვით რწმენა და გატაცებას მოაკლებთ, მოაკლებთ შრომის სურვილს, საერთო მოქმედების სიყვარულს, შეჰქმნით ისეთ ერს, როგორიც ეხლა ჩვენია,—უმოქმედოს, უსაგნოს და უმეთაუროს...

ჩვენს მეთაურებს წრფელი გული აქვთ, შრომაც ბევრი მიუძღვისთ ხალხის წინაშე, მაგრამ გულს გვიკლავს მათი ერთმანეთში უთანხმოება, ამაზე ძალის დაკარგვა, აქეთკენ საზოგადო ყურადღების მიქცევა, როდესაც შველა სჭირია ხალხს და საქმეა ათასი მოუვლელი და თითქო დავიწყებული...

არა გვაქვს ნამდვილი გატაცება და მის მაგიერად ოცნება გვიყვარს და გვეხერხება. რწმენა ყოველთვის გარკვეულია და ამიტომ რაიმე რწმენით გატაცებულმა ადამიანმა იცის, რა მოისურვოს, ან რა ჰქმნას. ოცნება, პირიქით, გაურკვეველი რამეა, და ამიტომ არ ვიცით ხოლმე, როგორ მოვიქცეთ, როდესაც ცხოვრება ჩვენგან გადაჭრილ პასუხს მოითხოვს. რამდენ ნაირი აზრი წარმოთქმულ იქმნა იმაზედ, თუ რას მოჰხმარდეს მთავრობისაგან მოცემული 40,000 მანეთი!.. გაურკვეველია ჩვენი სურვილი, გაურკვეველია ჩვენი მოქმედება და მიმართულება. აჩემებული გვაქვს რამდენიმე განყენებული მოძღვრება, ჩვენ ცხოვრებასთან დაუკავშირებელი და გვინდა ამ მოძღვრებას დავუმორჩილოთ ცხოვრების თავისუფალი მსვლელობა. გვავიწყდება, რომ ქვეყნის მართვა-გამგეობა ჩვენ ხელთ არ არის, რომ ხალხის ცხოვრებას ჰქმნის მრავალნაირი მიზეზი და რომ მხოლოდ მათ შეცვლით შეგვიძლია შევცვალოთ ხალხის ცხოვრებაც; მათი შეცვლა-კი შესაძლებელია მხოლოდ თან-და-თან, საერთო ძალით და არა ერთმანეთში შექიშპებით, და უნიადაგო დასების მოწყობით.

ხალხის მეთაურს, საზოგადო მოღვაწეს გული უნდა ჰქონდეს წმინდა, უნდა უყვარდეს პატიოსნება და ყოველგან უნდა სცდილობდეს მის დამყარებას, უნდა ერიდებოდეს უსამართლობას, ადამიანის ტყუილა-უბრალოთ დაჩაგვრას.

მაგრამ ამასთანავე ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი საზოგადოების ყველა საჭიროება და თავისი მიზანი საზოგადოებაში; უნდა ესმოდეს ხალხის გულის თქმა, სწამდეს ხალხის მომავალი და შესწევდეს ძალა, რომ უნდა საქმით გაუწიოს დახმარება საზოგადოებას; ყოველსავე მოვლენას საზოგადოების თვალით უნდა შეჰხედოს, შეიტყოს მისი მოსალოდნელი შედეგი და ამის მიხედვით მოიქცეს.

ხალხში ბევრი სხვა-და-სხვა მიმართულების მიმდევარია, ერთის გამარჯვებას ყოველთვის სხვისი დაღუპვა მოჰყვება; ეს დაღუპული უსამართლოდ იღუპება მხოლოდ იმიტომ, რომ სწამდა გულით თავის მიმართულების სიმართლე,—მაგრამ ნახულა განა ისეთი საზოგადო მოღვაწე, რომელსაც შეჰშინებოდეს ამ მცირედ უსამართლობისა, რომელიც მოჰრიდებოდეს ორიოდე კაცის დაღუპვას იქ, სადაც უმეტესობა ამით კეთილდღეობაში ვარდება და კეთილი სასარგებლო აზრი იმარჯვებს ხალხში?..

ხალხის ცხოვრებამ არ იცის უზნეობა და ზნეობა,—ყველგან მხოლოდ საჭიროებას დაეძებს და ამიტომ მხოლოდ იმ მიმართულებას აქვს გავლენა, რომელიც ხალხის შეხედულობით მის თვის სასარგებლოა.

მართლაც, სადაა ზნეობის საზომი? ზოგიერთი რამ თითქო დაბადებითვე ჩანერგილი გვაქვს გულში და ეს არის ფილოსოფოს კანტის კატეგორიული იმპერატივი, ზოგს კიდევ ცხოვრება გვაძლევს, და ამაზედააგო ფილოსოფოსმა მილლმა უტილიტარობის მოძღვრება. ფილოსოფოსობას რომ არ მივყვეთ და თავი დავანებოთ პირველყოფილ მიზეზების და ძალების მოძებნას,—თანამედროვე ცხოვრებაში ორივე საზომს შევხვდებით,—მხოლოდ საზოგადო ცხოვრების ჩარხი ყოველთვის უტილიტარ საზომით ზომავს ავსა და კარგსა.

საზოგადო ცხოვრებაში ზნეობის მაგიერობას ეწევა სხვა ცნება—ხალხის სარგებლობა. კარგი ის არის, რაც ხალხისათვის სასარგებლოა, რაც ძალას უმატებს საზოგადოებას, მხნეობას აძლევს და გამარჯვებას ანიჭებს.

ამას ჰქვია რეალი მიმართულება და ამ მიმართულებას დაადგა უკანასკნელ ხანებში ევროპაც.

მხოლოდ ჩვენმა მეთაურებმა ჯერ არ იციან იგი,—საოცნებო იდეალებზედ აშენებული მოქმედება უფრო ეხერხებათ და უყვართ. საზოგადოების მომავალზედ არა ჰფიქრობენ, ყველგან ეძებენ ავსა და კარგსა, ზნეობიანსა და უზნეოს და არა სასარგებლოსა და მავნეს.

რომელმა მეთაურმა დაანახა საზოგადოებას მისი ათასნაირი საჭიროება და მათ დასაკმაყოფილებლად პრაქტიკული საშუალება დაუსახელა? რომელი ეცადა, საკუთარ მაგალითით გაეტაცებია ყურის მგდებელი და თაყვანის მცემელი; რომელი ეცადა დაერწმუნებინა ხალხი, რომ საერთო შრომით და თან და თან შეიძლება მან ყველა თავისი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს? რომელმა შესძლო დროებით მაინც დაეთმო ზოგიერთი თავისი აზრი და მიმართულება იმისთვის, რომ სხვა მიმართულების წარმომადგენელთან ერთად ეშრომა

დამნაშავე პასუხის გებაში არიან მიცემულნი.

⁂ შაბათს, 15 დეკემბერს, საარტისტო საზოგადოების სასადილო ოთახში, ტფილისის ქალაქის გამგეობაში მოსამსახურეებმა გამართეს სადილი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 200-დე კაცმა. სადილის მიზეზი იყო მართლ-მსაჯულებისაგან გამგეობის წევრების გამართლება. სადილის მოთავეთ იყო ვლ. ლეონ. ვეიმანი. მოწვეულნი იყვნენ: თავ. ვას. ჩერქეზიშვილი, აპოლონ ათან. ივანენკო, ა. მ. არღუთაშვილი, ხრ. ალექ. ვერმიშევი, ევ. იაგორიჩ ხოსროევი. ამასთანავე მოწვეულნი იყვნენ 20-მდე გარეშე პირნიც. სადილმა მხიარულად ჩაიარა და გასტანა საღამოს 8 საათამდე.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინიტრს წინადადება მიუცია კავკასიის სესოფლო-მეურნეობის ინსპექციისათვის, რომ მომავალ წლისათვის ათს ადგილს გააშენოს ჩაის გამოსაცდელი პლანტანცია. („Казб.“)

⁂ მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ნება დაურთავს „მოგზაურის“ რედაქტორის ი. ჰ. როსტომაშვილისათვის, დაარსოს ტფილისში მეხილეობისა, მევენახეობისა, მებოსტნეობისა და მეფუტკრეობის კურსები. წესდება კურსებისა სამინისტროსაგან დამტკიცებულია. ბ-ნს ივ. როსტომაშვილს ხაზინიდგან სუბსიდია არ მიეცემა.

⁂ საქართველოს-სამხედრო გზაზე ფოსტის იჯარადარს ნისა-ხანუმს-იბრაჰიმბეგოვს 1904 წ. უთავდება ვადა, რომლის შემდეგ ცხენების მაგიერ გზაზე უნდა შემოღებულ იქმნას ავტომობილები. იჯარადარს უთხოვნია, ნება მომეცით ეხლავე შემოვიღო ავტომობილები, რადგანაც ცხენების შენახვა იმდენად ძვირად მიჯდება, რომ ვზარალობ, თუმცა ხაზინიდგან სუბსიდიაც მეძლევაო. („Каспій“)

⁂ კვირას, 16 დეკემბერს, ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა კრება ადგილობრივი დრო-გამოშვებით გამოცემათა წარმომადგენლებისა. კრებამ განიხილა 21 მუხლი „ბეჭვდითი საქმის მოღვაწეთა საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოებისა“. სხვა მუხლების განხილვა გადიდვა შემდეგისათვის. ქართველთაგან სულ სამი კაცი დასწრებია კრებას.

⁂ ქუთაისიდგან სწერენ „კვალს“, რომ იქაური მილის წყლის გამომყვანი ა. დ. მიხაილოვს, რომელსაც სხვა და სხვა მიზეზისა გამო ჯერ ამ ერთი საქმისათვის ვერ მოუბამს თავი, ახლა მეორე ფრიად საჭირო საზოგადოების შედგენისათვის მიუყვია ხელი. საზოგადოების დანიშნულება და საგანი იქნება ქუთაისის გუბერნიის მადნების დამუშავება. მას უკვე მიუქცევია ყურადღება ძმუისისა და მოხოულის სახაზინო ტყეებში მთის ცვილის მადნებისათვის. ამ მადნებით კაი ხანია თურმე ადგილობრივი მცხოვრებლები სარგებლობდნენ შინაურულად: აღნობდნენ მას ქვაბებში და ჰყიდდნენ ქუთაისში ფუთს 4 მანეთამდე. მიხაილოვის გამოკვლევით მადნები ბევრი და კარგი ღირსებისა არის.

ღმერთსაც ექნას! თუმცა მარტო მადნის ღირსება არა კმარა, როგორც ეს „კვალსა“ ჰგონია, რომ „ადგილის მკვიდრთ საქმე გაუჩნდეთ“. ამ საქმის გაჩენისათვის საჭიროა, რომ მიხაილოვის საზოგადოებამ მადნის წარმოება მოაწყოს და ხელ მისაცემ ფასის მომცემი მუშტარი იშოვნოს.

⁂ ამ თვის 28-დგან იანვრის შვიდამდე მოსკოვში მოხდება სრულიად რუსეთის ელექტრულ დარგის მოღვაწეთა მეორე კრება. ამიერ კავკასიის რკინის გზა თავის წარმომადგენელს აგზავნის ამ კრებაზე.

⁂ კვირას 16 დეკემბერს, ქართულ თეატრში წარმოდგენილ იქმნა, კოტე მესხის მონაწილეობით, „ბორკილი„ და „რაც არ მერგება, არ შემერგება“. წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა და ხალხიც ბლომად დაესწრო.

⁂ ცხინვალიდგან გვწერენ: „ამ დღეებში გამოგვეთხოვა აქაური ნაწილის ექიმი მიხეილ ცისკარაშვილი, რომელიც გადიყვანეს თელავის მაზრის ექიმად. აქაურ კეთილ შობილთ და ცხინვალის მცხოვრებმა გაუმართეს სადილი რომელზედაც 200 მდე სულმა მიიღო მონაწილეობა .მ. ცისკარიშვილს მოართვეს ოქროს საათი ოქროსივე ჯაჭვით, სამრევლო სასწავლებლის გამგეობისაგან მიიღო ხატი ვერცხლით მოჭედილი. არც ებრაილებმა დსტოვეს უყურადღებოთ და პურ-მარილი მიართვეს.

⁂ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა მოწერილობა, რომ ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში ცუდათაა დაყენებული სწავლის საქმე და როგორმე გააუმჯობესეთო, ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა სხვათა შორის თავის უკანასკნელ სხდომაზედ და გარდასწყვიტა, გარდაეცეს ეს მოწერილება ქალაქის სასწავლებელთა გამგეთა კომისიას. კომისიამ გამგეობისა და კომიისიის ყველა წევრები მოიწვია განსაკუთრებული ბარათებით და ხვალ სიღამოს, 19 დეკემბერს მოხდება შეერთებული სხდომა აღნიშნულ საქმის განსახილველად.

⁂ რკინის გზის პატარა სადგურიდგან (მე-249 ვერსტზეა) იწერებიან, რომ გლეხს შაქრო კრიჭაშვილს მოუნდომებია № 253 მატარებელზე შეხტომა, მაგრამ ფეხი დასცდენია და ვაგონის ბორბალს ქვეშ მოჰყოლია. კრიჭაშვილისათვის ბორბლებს მარცხენა ფეხი გადუჭრია. დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაუგზავნიათ.

⁂ 14 დეკემბერს, ქალაქს გარეთ წყნეთის გზაზედ შახმურადოვის დუქანში შახმურადოვთანვე მოუვიდა ჩხუბი ვასილი ტოტიაურს, ამ უკანასკნელმა დანით დასჭრა რამდენსამე ადგილას მუცელში, შახმურადოვი გაგზავნეს საავადმყოფოში. ტოტიაური შეიპყრეს და გადასცეს გამომძიებელს.

⁂ 12 დეკემერს, გიდქალარის საზოგადოების სოფ. ნაზარლოს მცხოვრებს აბდულ უსუფ ოღლის დაუწვეს თივის ზვინი (ათი ურემი), ცეცხლი გადავიდა სახლზედ და გომზედ. გომში ება ხაჯი და ხარი, რომლებიც შიგ ამოიწვნენ; ბოროტ განმზრახველთა შესაპყრობათ მიღებულია ზომები.

⁂ ამ რამდენიმე თვის წინად ქუთაისის ოლქის სასამართლოს განუხილავს საქმე ქუთაისის გუბ. მცხოვრიბ ბუხუში ჩიქოვანისა, რომელსაც ქურდობის ჩადენა ბრალდებოდა თურმე. ჩიქოვანი სასამართლოს დამნაშავედ უცვნია და გარდაუწყვეტია მისთვის ღირსებათა ჩამორთმევით ორწლინახევრით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. ოლქის სასამართლოს განაჩევი ჩიქოვანს განუსაჩივრებია სამოსამართლო პალატაში, რომელმაც 15 დეკემბერს განიხილა ეს საქმე და დამნაშავედ იცნო ბრალდებული და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

⁂ 15 დეკემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ დეპარტამენტში გაირჩა საქმე იო მჭედლიშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ედებოდა ბრალად. ოლქის სასამართლოს მჭედლიშვილისათვის გარდუწყვეტია ზოგიერთ უფლება უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში ერთ წლინახევრით გაგზავნა. ბრალდებულს ოლქის სასამართლოს განაჩენი ვანუსაჩივრებია სამოსამართლო პალატაში, რომელმაც დამნაშავედ იცნო იგი და დაამტკიცა სასამართლოს გარდაწყვეტილება.

⁂ იარმუკაში სანოვაგით მოვაჭრემ მარტიროს საკოვმა გამოაცხადა პოლიციის მე-9 მაწილში, რომ მის სავაჭროდამ სისტემატიურად იკარგება სანოვაგეები. სულ მომპარეს 400 მ. ღირებულიო. საკოვმა ეჭვი მიიტანა თავის მოჯამაგირეზედ ვართან გასპარიანცზედ. პოლიციის მოხელემ გურგენიძემ შეიპყრა გასპარიანცი და აღმოაჩინა დაკარგული ზოგიერთი სანოვაგეები. გასპარიანცს, როგორც აღმოჩნდა, შველიდნენ ამ ქურდობაში მარტიროსოვი, ბალოიანცი და ოსეფიანცი. ესენიც შეპყრობილნი არიან. ბრალდებულნი გადასცეს გამომძიებელს.

შეცდომის გასწორება: კვირის საბაასოში ორი უკანასკნელი სტრიქონი ასე უაზროდ არის დაბეჭდილი: „ყოველი მხარე კმაყოფილი იქმნება, ერთად ერთისა, რომელსაც ჰქვიან... უკუღმართი ჯიუტებს. უნდა ყოფილიყო: „ყოველი მხარე კმაყოფილი იქნება, გარდა ერთად ერთისა, რომელსაცა ჰქვიან უკუღმართი ჯიუტობა.

ასის წლის ძეგლი ომარ-ხანის დამარცხებისა შეცდომით, „ნაომარზედ“ და არა „ნიახურაზედ“.

თბილისიდგან აღმოსავლეთით, 40 ვერსზედ, ცივ-გომბორის მთის ძირში, გაშენებულია უშველებელი სოფელი საგარეჯო, სოფელს ფართედ გაჭმლია ფერხთით ნივრის ველი. ამ ველზედ, ივრის ხიდის ზემოდ, პატარა სერია ამართული. სერზედ სდგას უხსოვარ დროის კოშკი, რომელსაც „დედაბრის კოშკს“ ეძახიან. სერის გარეშემო ვაკეს ხალხი “ნაომარს„ უწოდებს. კოშკის სახელწოდება წარმომდგარა იქიდგან, რომ ერთხელ “თვალთაზედ„ (უწინდელი სახელია ს. საგარეჯოსი) მისული მტერი, ვაჟკაცთ შინ არ ყოფნის დროს, დედაკაცთ უკუ უქცევიათ ამ კოშკიდგან. ხოლო “ნაომარი„ როდის და რად დაერქვა აქ მინდორს, როგორც ეტყობა, ეს დავიწყებიათ, თუმცა დიდისხნის ამბავი არ არის.

საქმე ასე იყო: ბატონიშვილმა ალექსანდრემ რომ რუსეთთან შეერთების წინაღმდეგ შეთქმულობა გამართა, ჯერ სურამში მოუყარა თავი მომხრეთ; რუსის ჯარმა აქედგან გამოაფრთხო და ბატონიშვილი გამაგრდა ს. ერთაწმიდას. აქაც დამარცხებულმა, თიანეთზედ გადმოიარა, ჩამოვიდა კახეთს და გამაგრდა ს. გრემში. ფათალახიც-კი რვას ჰკლავსო“...

გამხნევებული ბატონიშვილი სიღნაღს გავიდა და იქიდგან საკმაო ბრბოთი თბილისისაკენ გაეშურა. ნაომარს რომ მიატანა, რუსის ჩასაფრებულ ჯარს წააწყდა. “შუა-დღე იყო,“ მეტყოდა ხოლმე 83 წლის მოხუცი პაპა-ჩემი, „როცა რუსის ზარბაზნებმა ჭორთხივით მოსდო მინდორზედ ქართველობა.-მერე ასტყდა საშინელი თოფის სროლა...დედამიწა ზანზარებდა... მზე თითქმის დაბნელდა. მე სამხრევე ვაჟკაცი შამბში მივიმალე და ამ ჯოჯოხეთურ საქმის დაბოლოვებას სულ-შეხუთული ველოდით„...

დათავდა-კი საქმე, მაგრამ იმითი რომ დამარცხებული ალექსანდრე ბატონიშვილი გადარჩა მხოლოთ რამდენისამე მხლებლით. ავიდა იგი იქვე მანავის ციხეში და იქიდგან ცივ-გომბორის მთათა გადავიდა მცხეთას...აქ სვეტი-ცხოვლის წინ ბევრი იტირა, მერმედ, მიუბრუნდა მხლებლებს და უთხრა: „ეტყობა, ღმერთმა ხელი აიღო ჩემზედ, თქვენ მაინც წადით შინ მიჰხედეთ ცოლშვილსაო“ თითონ-კი, რამდენისამე მხლებლით სპარსეთსა და სახანოებს მიატანა, აქეზებდა უკანასკნელ დღემდე მომხრეთ, მაგრამ იმედ-დაკარგული გარდაიცვალა. აქედგან დაედო დედაბრის კოშკის გარეშემო მინდორს სახელ წოდება „ნაომარი“.

დედაბრის კოშკის გასწვრივ, 10 ვერსის მანძილზედ, ხოლო საგარეჯოდან 18 ვერსისა, სოფ. კაკაბეთის ბოლოს, ივრის ველზედ, სდგას მეორე კოხტა კოშკი „ზეიანად“ წოდებული. ორივ კოშკი პირდაპირ ერთმანეთს გაჰყურებენ. ზეიანის კოშკის გარეშემო ფართე მინდორს უწინაც და ეხლაც „ნიახურას“ ეძახიან... ამ ველზედ პატარა სოფელი „ნიახურაც“ იყო, რომელიც ეხლა ს. ყანდაურას ასახლდა.

7 ნოემბერს 1800 წელს, სწორედ ამ ნიახურას ველზედ, ზეიანის კოშკთან, რუსეთის ორმა ბატალიონმა ლაზარევისამ და გუდაკოვისამ და უფრო 3,000 ქართველმა მეომარმა, რომელთაც ჰსარდლობდნენ ბატონიშვილნი იოანე და ბაგრატი, საშინლად დაამარცხეს ომარ-ხანი ავარიელი, რომელიც თბილისის ასაღებათ მოუძღოდა 15,000 ლეკს... თავწასულ ომარ-ხანი ერეკლეს დროსაც დაეცა საქართველოს; გადმოლახა კახეთი, ივრის ველი, აახრა ბორჩალო-ბორნისი და დავლით გავიდა ლეკეთში...ბოლო შემოსევა-კი თავხედს ძვირად დაუსვეს.

მოადგა თვარა ჯარით ალაზანს, რუსის ჯარი და ქართველობა სიღნაღს დაუხვდა პატარა სოფელ პრასიანიდან იერიშით წამოსულს ომარ-ხანს ქართველი ცხენოსანნი არ ასვენებდნენ, გზაზედ ჩამორჩენილს ლეკებს სჭრიდნენ თავებსა და მიჰქონდათ რუსის სარდლებთან, რუსის ჯარიც ქართველებთან ერთად კვალში მისდევდნენ და ნიახურაზედ წამოეწივნენ. რუსის ზარბაზნებმა მალე არიეს ლეკები, ხოლო მამაცი და მარდი ქართველობა მუსრს ავლებდა მოსისხლე მტრებს ლეკებს. ამათ მალე მოიტანეს შუბზედ აგებული თავები ჰაჯი-ახმედ ხანის (შუმიხანი) ჯენგუტასი, ალექსინის და სხვებისა. თვით ომარ-ხანი, მკერდში დაჭრილი, სამუხისაკენ გაიქცა.

აი ასის წლის სახსოვრად ამდიდებულს დამარცხებისა აიმართა ძეგლი, მაგრამ არა ნიახურაზედ, არამედ ნაომარზედ. *) რომ ეს შეცდომაა, პირდაპირ მიჰხვდებით, როცა წაიკითხავთ ოფიციალურს მოხსენებას ომისას: Рапортъ г. Лазарева къ г. Лейт. Кнорингу 14 ноября 1800 г. № 68 о сраженіи на р. Іорѣ противъ деревни Какабеты, въ мѣстности Ніахуры у деревушки тогоже имени **) ამავე რაპორტში პირდაპირ ნათქვამია, რომ „საგარეჯომდის 18 ვერსზე“-დედაბრის კოშკიდან-კი 4 ვერსი ძლივს არის საგარეჯომდის. შეცდომა იქიდან წარმომდგარა, რომ ძრძოლის ისტორიაში ნათქვამია: „კოშკში შემალულმა ლეკებმა მოჰკლეს ერთი მუშკატერიო“, მაგრამ ეს კოშკი ზეიანისაა და არა დედაბრის-კოშკი...თვით ხალხს ძალან კარგად ესმის, სადაა ნიახურა და კაკაბეთი და სადაა ნაომარი დედაბრის კოშკით. მიკვირს, მაშ რად არ უკითხნიათ...თუმცა ორივე ადგილი ხსოვნის ღირსია.

მღ. ზ. გულისაშვილი.

რუსეთი

უმართებულესს სენატს განუმარტავს ,რომ სამეცნიერო ხარისხის მქონე ებრაელს უფლება აქვს, იცხოვროს გარეშე თვისის საცხოვრებელ ადგილისაც, მაგრამ თუ დას-ებრაელს აცხოვრებს თავისთან, უნდა მოსამსახურე-ქალისა ან გუვერნანტკის სახელით იყოლიოსო.

— ოფიცრებს, რომლებსაც უმთავრესი შტაბი მიიწვევს ხოლმე საცდელ მობილიზაციის დროს, ნება თურმე ეძლევათ რუსეთის რკინის გზებზედ საქონლისა და სამსახურის მუშა მატარებლებით შეღავათიანის ტარიფით სიარულისა.

— მიწათ-მოქმედების სამინისტროს მომავალს წელს განზრახვა აქვს სახელმწიფო ტყეების დამუშავებას უფრო ერთგულად შეუდგეს, რაიცა ხაზინის სატყეო შემოსავალს 58 მილიონამდე ასწევს.

— უმაღლესად ნაბრძანებია, რომ სათადარიგო პრაპორშჩიკებს (прапорщикамъ запаса) სამსახურში სწავლებისათვის მიწვევის დროს ბინის ფული იმდენივე მიეცეთ, რამდენიც უმცროსს ოფიცრებს ეძლევათ ხოლმე.

— კადეტთა კორპუსისა და აგრეთვე სხვა სასწავლებლებისათვის ოფიცრების შვილების მოსამზადებლად, სამხედრო მინისტრის ბრძანებით, უმთავრეს შტაბთან შემდგარა საგანგებო კომისსია, რომელსაც სამხედრო-სამოსწავლო კომიტეტის წევრი გენერალ-ლეიტენანტი ნარბუტი თურმე ჰთავმჯდომარეობს. ამ საგნის შესახებ ლაპარაკი წინადვე იყო აღძრული.

— ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილებაში მომავალის წლის დასაწყისში შესდგება საგანგებო კომისსია, რომელსაც სამხატვრო მრეწველობის განმავითარებელ საშუალებათა შემუშავება მიენდობა.

— უწმ. სინოდს დაუმტკიცებია, რომ სასულიერო აკადემიებში სწავლა-დამთავრებულს საერო კაცებს (ვინც ღვდლობასა ან ბერობას არ ისურვებს) გულზედ სატარებელი ნიშანი მიეცესთ.

— მალე გელსინგფორში მაქსიმ გორკის ყველა თხზულებანი თურმე დაიბეჭდება ფინლანდიურს ენაზედ.

სასოფლო მეურნეობა.

ფილოქსერის ახალი წამალი.

ფრანგულს ერთ სამეურნეო ჟურნალში („პატარა ბაღი“) პროფესორი დევენიერი სწერს, რომ ჟირანდის დეპარტამენტში ვცადე ფილოქსერის წამლად ხმარება კალცი—კარბიტი, (რომლის წყალთან შეერთებისაგან წარმოსდგება გასანათლებლათ სახმარი აცეტილინის გაზი) და დაბეჯითებით ვამბობ, რომ იგი თუ შევუხავეთ სველს ნიადაგს, უსათუოდ სპობს ფილოქსერასაო.

ფილოქსერა, როგორც ყველა ჩვენებურმა მევენახემ იცის, ისეთი სენია მევენახეობისათვის, რომ ყოველივე წამალი მის წინააღმდეგ გამოსადეგი, სიამოვნებით უნდა გამოვცადოთ, თუ-კი ნარჩევი წამლის ხმარება ცოტათი მაინც არის ჰკუასთან ახლო, არ არის ერთობ ძნელი და ძვირი ასასრულებლად და არც ისეთი უცნაურია, როგორც მაგალითად ზოგთაგან ნარჩევი—ვაზის ძირების თეთრი ღვინით მორწყვა, ანუ ვაზის ძირში ბაყაყების ჩამარხვა და სხვ. ამიტომაც, სასურველია, რომ ჩვენმა მევენახეებმა სცადონ კალცი—კარბინი ვენახში, მით უფრო, რომ ის იაფი საქონელია და მისი ხმარებაც ადვილი არის: საკმაოა ვენახის ერთს ნაკვეთში, აქა-იქ ჩაფლათ სველს მიწაში რამდენიმე ნაჭერი კალცი-კარბიტისა. კალცი-კარბინი რომ სველს მიწაში ჩაიფლება და მიწის სისველე მოხვდება, წარმოსდგება აცეტილენის გაზი, რომლის შემხუთავი სუნი მოედება მთელი ვენახის მიწას და მოსპობს ფილოქსერას. კალცი-კარბიდით წამლობა ვენახისა შეიძლება ყოველნაირს დარში და, რაც უფრო საყურადღებოა, ყოველს დროს, თუმცა უკეთესია ზამთარში—რაც უფრო ნესტიანი და წვიმიანია ამინდი, მით უფრო ადვილი და იაფია ამ წამლის ხმარება, რადგანაც კალცი-კარბიტი, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, აცეტილენის გაზს გამოსცემს მხოლოდ მაშინ, როცა მას (კარბიტს) წყალი მოხვდება. ზამთარში წამლობა იმით არის კიდევ კარგი, რომ ამ დროს ვაზის წვენის მოძ-

---

ხალხის საკეთილდღეოდ იქ, სადაც ასეთი საერთო შრომა აუცილებელია და საჭირო?

თუ არის ასეთი,—ქება მას ჩვენგან და შთამომავლობაც არ დაივიწყებს მის სახელს, მაგრამ ვაი, რომ ჩვენშიაც ფეხს იდგამს ის სენი, რომელმაც არა ერთი საზოგადოება დაღუპა,—უკიდურესი ინდივიდუალიზმი, მეობა და მისი შედეგი,—საერთო განხეთქილება საზოგადოებაში და ზოგიერთების გულის გატეხა...

სნეულს წამალი სჭირია. საზოგადოების წამალი, მისი შვილების საერთო მოქმედებაა, რიგიან გზაზედ დადგომა, და ამიტომ დიდი დანაშაული მიუძღვის ჩვენში იმ მიმართულებას, რომელმაც საზოგადოებაში მტრობა დაჰბადა. ცალ-მხრივი და განყენებული ეს მოძღვრება სცდილობდა მთელ საზოგადოების ძალღონე მოჰხმარებოდა ერთ საქმეს და ხალხის სარგებლობას მხოლოდ მის კუჭის გაძღომაში ჰხედავდა. ამ მოძღვრებამ მრავალი მიმდევარი მოიპოვა იმითი, რომ თავის მოწინააღმდეგეს ხალხის მტერს უწოდებდა, ხალხის დაღუპვის მსურველს, და მომხრეს კი უგუნურიც რომ ყოფილიყო, ჭკვიანად სახავდა. ასეთმა თავის დაჭერამ ბევრს გული მოუგო და ამიტომ, თუ არის ჩვენში ნახევრად განათლებული ვინმე, რომელსაც თავისი თავი ფილოსოფოსი ჰგონია, უთუოდ ამ მიმართულების მიმდევარია. დარწმუნებული ვართ, რომ იმათ მეთაურებს გულში ხალხის კეთილდღეობა სწყურიათ, მაგრამ მათ მოქმედებას, საუბედუროდ, სხვანაირი შედეგი მოჰყვება.

ამ მიმართულებამ ვერავისთან ვერ მოახერხა საერთო შრომა, ყველას დაშორდა, ყველა უარყო და შინაური ომი ასტეხა მაშინ, როდესაც ჩვენი საზოგადოება უკიდურესს მდგომარეობაში იყო ჩაყენებული. ერთად ერთი მათი გასამართლებელი საბუთი ის არის, რომ არ იცოდნენ ალ-ბად, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა მათ მოქმედებას.

ესენი რომ განხეთქილებას აგდებდნენ საზოგადოებაში, სხვები—ეხლანდელ მდგომარეობით დაღონებულნი—გულს იტეხავდენ ხალხისა გამობრუნებაზედ, და ამ გულგატეხილობას ცხოვრების საფუძვლად იდებდნენ. ეს მიმართულება პირველზედ უფრო მავნებელია; ცალმხრივი მოძღვრება თუ ხალხს აყენებს ცრუ გზაზედ, გულ-გატეხილობა საზოგადოდ სიარულის სურვილს უკარგავს საზოგადოებას.

გულ გატეხილობა გატაცების წინააღმდეგია. გულ-გატეხილობა ძლიერი ხასიათის პატრონსაც დააღუნებს და დაჰღუპავს. ხალხი მეთაურებს შესცქერის. მეთაურები გულს უნდა უმაგრებდენ ხალხს, უნდა ამხნევებდნენ, გულში უნდა უღვიძებდნენ მომავლის იმედებს, თორემ ხალხმაც თუ დაიმჩნია გულ-გატეხილობა, სასოწარკვეთილებაში ჩავარდება, და მაშინ ვაჰ, იმ ერს!

გულ-გატეხილობა და ხალხის ნაკლოვანების მხილება ერთი და იგივე როდია. საჭიროა, დავანახოთ ხალხს ყოველი მისი შეცდომა, მაგრამ ამასთანავე უნდა გავუმაგროთ გული საზოგადოებას და დავუმტკიცოთ, რომ ნაკლის ასაშორებელი ძალაც შესწევს და ეს ძალაც უჩვენოთ.

ხალხის გულის გამტეხი მისი მეთაური კი არა,—მტერია. ექიმმა სნეულს წამალი უნდა მიაშველოს, ჩვენი გულ-გატეხილი მეთაურები კი სნეულ საზოგადოებას საწამლავს აწვდიან, პირში ეუბნებიან ავადმყოფს, შენი მორჩენა შეუძლებელი არისო, მაგრამ მაინც არ ჰშორდებიან და ვითომ წამლობასაც აღარ აკლებენ.

იმედ-გადაწყვეტილი ადამიანი ხშირად თავზედ ხელს იღებს და თავის მდგომარეობით უკმაყოფილო თავს აკლავს ბევრად უფრო ძრიელ მოწინააღმდეგეს, სიფრთხილეს ივიწყებს. სცდილობს სადმე ბრძოლაში დაჰკარგოს სიცოცხლე და მოშორდეს ამ წუთის-სოფელს, რომლისგან არაფერს სასიკეთოს აღარ მოელის. „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო“, გაიძახის თავმომწონედ ასეთი რაინდი და მისკენ გამოწვდილს ხმალს თვითონვე ესობა. მაგრამ ასეთი მოქმედება რაინდობაა, თუ სისუსტე? თან და თანი, ხან ცხადი და ხან ფარული ბრძოლაა უფრო ადვილი, თუ ბრძოლაზედ და სიცოცხლეზედ ხელის აღება? უწინაც, როცა ჩვენში საქმე გამწვავდებოდა ხოლმე, იმის მაგიერ, რომ ერთმანეთში მორიგებულიყვნენ და ქვეყნის ინტერესები დაებადათ, ერთმანეთში ბრძოლით მოქანცულები სპარსეთში გარბოდნენ და სპარსეთი მათ შესარგებლად ორივეს აჩერებდა სპარსეთში და საქართველოში-კი თავის კაცს ჰგზავნიდა!.. რა არის უფრო ადვილი, როდესაც კაცი მაგ. ქალაქის საპჭოში რამდენიმე არა სასურველი გამოერევა,—მათთან ერთად მუშაობა ქალაქის საკეთილ-დღეოდ თუ ქალაქის ხმოსნობაზედ უარის თქმა და ქალაქის საქმეების მართვა-გამგეობის ამ არა სასურველ კაცთა ხელში ჩაგდება? ცუდ ვითარებიში ჩაყენებულ საქმის გაძღოლა? თუ განზედ გადგომა და საქმეზედ გულის აგორება ან მაზედ ტირილი?. შრომა თუ უმოქმედობა?

საუბედუროდ, ყველა, უსუსური ბავშვიც რომ იყოს, ორიოდე სიტყვა თუ გვითხრა როდისმე საჯაროთ, ჩვენი მხსნელი და საზოგადო მოღვაწე გვგონია. საზოგადო მოღვაწეობას დიდი მომზადება, მრავალი ცოდნა სჭირია სხვაგან, ჩვენში კი საამისოდ არც ცოდნა არის საჭირო და არც გამოცდილება, საკმარისია მხოლოდ სურვილი და გაბედულობა... დრო არის, აიხილოს თვალი საზოგადოებამ, ჩაუკვირდეს თავის მდგომარეობას, გამოირკვიოს თავისი საჭიროება და მერმე ამის მიხედვით დააფასოს თავისი მოღვაწე კაცები.

მაგრამ მეთაურებს თუ ხშირად ეშლებათ გზა-კვალი, საზოგადო ცხოვრების ჩარხი მაინც უცვლელად ტრიალებს. ხალხი იზრდება, განათლება შედის სოფელში, საზოგადოება იღვიძებს და თანდათან აკვირდება თავის ეხლანდელ მდგომარეობას. მოვა დრო და ხალხი ახალ ტალღებსაც ისვრის საზოგადო ასპარეზისკენ.

ჩვენი დრო ცვლილების ხანაა. ცხოვრების უწინდელი წყობილება დაირღვა და თავს იჩენს თანდათან ახალ წყობილების შედეგი. [illegible] ძველი იდეალები და მათი სამაგიერო ახალი იდეალები უნდა გამოირკვიოს საზოგადოებაში. მეთაურები ხან ერთ აზრს წამოუყენებენ იდეალად, ხან კიდევ მეორეს, ყველას თავისი თავი ხალხის ნამდვილი მხსნელი და გულშემატკივარი ჰგონია. ებრძვიან ერთმანეთს, ერთმანეთს ჰღუპავენ და ვერ ჰხედავენ, რომ ხალხი განზედ სდგას და ვერ ემხრობა ვერც ერთს იმათგანს, ვინაიდგან ყველა დროშაზედ წარწერილია ისეთი აზრები, რომელიც დაშორებულია ხალხის ცხოვრებას. რომელიც არ აკმაყოფილებს ხალხის მოთხოვნილებას და მისთვის სასარგებლო არ არის. ცხოვრება კი ამასობაში თვითონ ჰქმნის ახალ იდეალს, თანამედროვე ცხოვრების პირობებზედ აგებულს და ის იქნება ხალხის ნამდვილი წინამძღოლი, ვინც შეიგნებს ცხოვრების ახალს მიმართულე-

---

*) ძეგლის კურთხევის ამბავი მოხსენებულია გაზეთ Кавказ„-ის 275 ნომერში, 19 ოქტომბერს 1901 წელს

**) Томъ I трудовъ орх. общества.

რაობა შეჩერებულია, ძინავს, და თუ, ვინიცობაა, აცეტილენის გაზის სენს რაიმე ოდნავ ცუდი გავლენა დაჰყვა ვაზისათვის,—ვაზის ბუჩქი ამ დროს, ე. ი. ზამთარში—ნაკლებად მიიკარებს ხსენებულს სუნს. გარდა ამისა ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ყველა იმ წამლებს, რასაც დღემდის ძალას უსუსტებს ფილოქსერის კვერცხები, რომელნიც წამლობის შემდეგაც წარმოშობენ ხოლმე ახალს პეპელებს და ესენი კი ისევ მონავერად ედებიან ვენახს. ზამთრობით კი ფილოქსერის კვერცხები არ არსებობენ, მაშასადამე თვით ფილოქსერასთან ბრძოლა, მისი განადგურება, ზამთრობით უფრო ადვილია.

ზამთრობით წამლობას ის უპირატესობაცა აქვს, რომ მუშა ამ დროს ისე არ აფუჭებს ვენახში მოძრაობისა და სიარულით ვაზს, როგორც ეს მოუვა ხოლმე გაზაფხულსა და ზაფხულში, როცა იგი უნებურად აქა-იქ წაეკვხება ბუჩქებს, დააწყვეტს ფოთლებს, მოსტეხს რქებსა და მტევნებს. ზამთარში მუშაც თავისუფალია და მისი დაქირავება ვენახის პატრონს უფრო იაფად დაუჯდება.

კარბიტით წამლობას კიდევ ის უპირატესობანი აქვს, რომ არ არის საჭირო არავითარი ხელსაწყო. ზოგიერთი წამალი მორწყვის დროს დახეთქილ მიწაში ატანს ფესვებამდე და სწვავს მათ. კარბიტი კი შეიძლება ფესვებიდგან მოშორებით ჩაფლათ მიწაში და სარგებლობის გარდა არავითარს ვნებას არ მოიტანს.

კარბიტით წამლობა ვაზისა უფრო იაფად დაჯდება, უფრო ადვილია და უფრო მალე გასაკეთებელიც. კარბიტი, როგორც ზემოთაც ვთქვით, იაფი არის, შესაძენათაც და გასატანადაც ადვილი, სრულიად უშიშარი.

ამიტომაც დიდად სასურველია, რომ პროფესორი დევენიერის ნაცადს, ჩვენშიაც გამოცდიდნენ, მით უფრო, რომ ამისათვის არც დიდი ხარჯია საჭირო, არც სპეციალური ცოდნა, არც რამე ხელსაწყო და სხვ. ყველა ღარიბ მევენახეს შეუძლია, შეიძინოს და თვის ვენახში აქა-იქ ჩაფლას რამდენიმე ნაჭერი კარბიტი. გირვანქა კარბიტი ტფილისში ღირს აბაზიდან-ექვს შაურამდე, ფუთობით კიდევ უფრო იაფი დაჯდება. იყიდება ის იმ მოვაჭრეებთან, რომლებიც ჰყიდიან აცეტილინის განათებისათვის მოწყობილ ლამპებს და ფანრებს, აგრეთვე ველოსიპედების მაღაზიებშიაც. (»K. C. X.»)

სასამართლოს მატიანე.

შემდეგი *)

თავ. არგუთინსკის ჰბრალდება სავაჭრო სამეურნეო პოლიციის რიგიანად მოუწყობლობა. ტფილისში მრავალი წვრილმანი გარდასახადია. რათა ეს გარდასახადი შემცდარად იკრიბებოდეს, საჭიროა მთელი გუნდი სავაჭრო სამეურნეო პოლიციის აგენტებისა. მართალია, როგორც შენიშნეს, აგენტებს მათემატიკისა არა გაეგებათ რა, მაგრამ ესეც არ დაივიწყოთ, ამ გარდასახადების მოსაკრებად რომ მათემატიკის მცოდნენი მოიწვიოთ, გადასახადები იმათ ჯამაგირებს არ ეყოფა. ეხლანდელი აგენტები 20 მანეთს კმაყოფილდებიან და გადასახადებსაც რიგიანად ჰკრეფავენ. თუ რამდენად კარგად იყო დაყენებული აგენტების მოქმედების შემოწმების საქმე, ეს მთელმა რიგმა მოწმებმა თქვენ წინაშე აღნიშნა. რაც შეეხება აგენტების სახელმძღვანელოდ წესდების შემუშავების საქმეს, ამის შესახებ შემდეგი უნდა განვაცხადო: თავ. არგუთინსკიმ, როდესაც დარწმუნდა, რომ სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უმეტესი მოხელენი საქმისათვის გამოუსადეგნი არიან, შეადგინა პროექტი აგენტების საქმის ახლად წესზედ მოწყობისა. ეს პროექტი უკვე წარუდგინა საქმის განსახილველად საბჭოს. საბჭომ მცირედიოდენის ცვლილებით მიიღო არგუთინსკისაგან წარდგენილი პროექტი რომელიც დღევანდლამდე უმართებულეს სენატშია განსახილველად. რეფორმის მოლოდინში განა რა აზრი ექნებოდა ინსტრუქციის შედგენას? გამგეობის წვერს ბრალად ისიც ედება, რომ აგენტებზე წიგნებისა და მარკების დარიგებისა და მიღების დროს არ იყო დაწესებული, ვის რა წიგნი რა დროს მიეცა და როდის უკანვე მიიღეს? ეს ბრალდება სიმართლეს მოკლებულია, რადგანაც, როგორც მოწმე გასპაროვმა და სხვებმა განაცხადეს, ასეთი წესი შემოღებული იყო. ერთს ხანს ამ თანამდებობას წიგნების მარკების დროს აღმნიშვნელისას თვით გასპაროვისა ასრულებდა. მარკიან წიგნებს თვით უფროსი ზედამხედველი ბ-ნი ჯაბადარი ურიგებდა აგენტებს, რაც მოწმეებმაც შეამოწმეს და საქმეში შეტანილ საბუთებიდგანაც სჩანს. აგენტებზე კონტროლი არ იყო. მართალია, არ ყოფილა საკანტროლო განყოფილება გამგეობაში, მაგრამ გარდასახადების დროს ერთი რომ ფულს იღებდა ხალხისაგან, მეორე იქვე თან სდევდა და თვალყურს ადევნებდა, ხოლო აგენტები ამოწმებდნენ მარკის წიგნებში თითონ ფურცელზე აღნიშვნით. 1000 მან. მარკის წიგნები, რომელიც ტერ-მიქელოვმა გადასცა ჯაბადარს, დაკარგა. ესეც სიმართლეს მოკლებულია, რადგანაც ყველა ეს წიგნები არხივში აღმოჩნდა. 2 წლის განმავლობაში ქალაქის შემოსავალმა 25 %-დგან 35 % იმატა, სად არის ბოროტ-მოქმედება, სად არის ქალაქის ქონების გაფლანგვა? ერთად-ერთი მაგალითი ფულის გაფლანგვისა კუზანოვის საქმეა, რომელიც გამძიებამ კი არა, გამგეობამ აღმოაჩინა, კუზანოვის მიერ გაფლანგული 250 მან. მასვე გარდახდევინა და სამსახურიდგანაც დაითხოვა. საინვენტარო წიგნის შესახებ ვეთანხმები ბ-ნ კრასოვსკის მოსაზრებას, ამ წიგნში შეტანილი უნდა იქმნას ხოლმე ის ქონებანი ქალაქისა, რომელიც ღირებულებას შეადგენენ. რაც შეეხება ქალაქის თავისუფალ მიწების იჯარით გაცემას, ამ საქმეში დიდი შრომა მიუძღვის თავ. არგუთინსკის.

ბრალმდებელმა სთქვა, რომ „ნავთის ჭალის“ დასამუშავებლად გამგეობამ დაუდევრობით მოიჯარადრენი არ დაინტერესა. ამით ქალაქს დიდი სარგებლობა მოაკლდაო! ჯერ ერთი—საქმიდგან სჩანს, რომ გამგეობამ ამაზედ ჯეროვანი საშუალება იხმარა და მეორე—ასეც რომ არ იყოს, განა ეს გამგეობის დაუდევრობად უნდა ჩაითვალოს? ვინმე რომ ნავთის ჭალაში რაიმე სასარგებლოს ჰხედავდეს, არ დაცლიდა გამგეობას და თვით მოვიდოდა იჯარით ასაღებად. გამგეობას ჰბრალდება საიჯარო გარდასახადების დროზე არ გარდახდევინება, მაგრამ სახეში არ არის მიღებული, რომ 1896 წლიდამ მოიჯარადრეთა რიცხვი გაიზარდა. აღნიშნულს წელს მოიჯარადრე იყო 60 კაცი და საიჯარო ფული დარჩენილი იყო 480 მან. 1897 წელს 197 მოიჯარადრე იყო, საიჯარო ფული 9900 მან. ავიდა, 1898 წ, უკვე 288 მოიჯარადრე და 13,330 მან. საიჯარო ფული.

მოწმეთა ჩვენებიდან დავინახეთ, რომ არგუთინსკი ყოველივე ღონეს ხმარობდა დარჩენილ გარდასახადების მოსაკრებად. 1897 წელს პოლიცმეისტერს გაუგზავნა 60-დე მიწერილობა, რომ დახმარებოდა გამგეობას ამ ფულის გარდახდევინების საქმეში.

კარგა ხანს ლაპარაკის შემდეგ, ტისლენკომ ასე დაამთავრა თავისი სიტყვა: საბრალმდებულო ოქმში ერთი ისეთი ხელ ჩასაჭიდებელი საბუთი არ არის, რაიცა გამგეობის დაუდევრობას ამტკიცებდეს. ბრალმდებელმა სთქვა, ქალაქის საქმეში რა ადგილი ჰქონდა კრიტიკასო. უეჭველად მიმაჩნია ჩვენს დროში საზოგადო კრიტიკაზე ასეთი შეხედულება, პირ იქით, ყოველივე საზოგადო საქმე ითხოვს ყოველ მხრით აწონ-დაწონვას და საბუთიან კრიტიკას. ადმინისტრაციის მხრით ამ საქმის ასე დაყენება შეცდომად მიმაჩნია, რადგანაც საქალაქო დებულების მე-103 მუხლი კარგად გვიჩვენებს, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ იმ შემთხვევაში, თუ გამგეობა დაუდევრობდა და საზოგადო საქმეებს ყურადღებას არ აქცევდა.

(დასასრული იქნება)

ბრინჯაოს მედლებით:

ზ. ს. ზავრიშვილის მამული ტფ. გუბერნ., დ. შ. ნაფეტვარიძე ქუთაისის გუბ. (ბამბა) თავ. ტ. დ. ნაკაშიძე ქუთაისის გუბერნიაში, კნეინ. თარხნიშვილისა ტფ. გუბ. (მუხუდოსა და სხვა თესლებისათვის), თავ, გ. ნ. ვეზირიშვილი, თავ. ერისთავი ქუთაისის გუბ. (დომისა და სხვ.), ი. ა. ხუხუტაშვილი, საინოვი, სახიევი, ვ. ა. მაყაშვილი კახეთში, ლელუაშვილი იმერეთში, კაპანაძე იმერეთში, ალექ. გოცაძე იმერეთში და პრემია ძმ. ფრიდონოვებისა 30 მან. „ბლეხის ღვინოსათვის“, დ. ზ. სარაჯიშვილი ტფილისში, ივ. გ. ჯორჯაძე (ყველანი ესენი ღვინისათვის), ხეთის და ცხინვალის ნორმალური სასწავლებელი (სანერგესათვის), ი. პ. ძაგანია მებაღე ტფილისში, გ. ნ. სხირტლაძე ტფილისში (ყველა საგნების კარგად მომზადებისათვის), ვ. გ. მაჩაბელი (ხილის გახმობა), მ. ჯაოხაძე (კონსერვების მომზადებისათვის), თავ. გ. ნ. ვეზირიშვილი-ხაშურში (ხილის.), აწყურის სასოფლო სასწავლებელი ახალც. მაზრა, გ. რ. და ა. რ. ერისთავები კარალეთში გორის მაზრა (ვაშლის 29 თვისებისათვის), თავ. დ. ს. ციციშვილი ზემო ხვედურეთი, გორის მაზრა (ატმისათვის), ხელოსნების სკოლა გორის მაზრაში (კარგი ხილის მოყვანისათვის), თავ. გ. ი. ორბელიანი (ცხენი „იტალისასათვის“), გოგოლაური (ქათმებისათვის), ო. ანიევი ზაქათალში, ა. დავითიაა ოჩამჩირეში ქუთ. გუბ. (აბრეშუმი), მუსელიანი ქუთაისში (აბრეშუმისათვის), გ. გოგოლაშვილი ხონში (აბრეშუმის ქსოვილებისათვის), გურიის ამხანაგობა (შუამავალი) (აბრეშუმეულობისაგან სათჯახო მრეწველობის ნაწარმოებისათვის), დიდი ჯიხაიში სასწავლებელი (აბრეშუმისათვის), ო. ჩიტოვი (მეფუტკრეობა), თავ. გ. ვ. მაჩაბელი (მეფუტკრეობა), თავ. კ. ა. წერეთელი (მეფუტკრეობა), თავ. მ. რ. ერისთავი (მეფუტკრეობა), კნ. ვ. ტ. ბებუთოვისას (მეფუტკ.), ივანე ბებურაშვილი ტფ. (ნახატებისათვის), ტფ. დურგალთა ამხანაგობა „შრომა“ (ავეჯეულობა), ი. დისამიძე (შკაფისთვის), კაცაძე ქუთაისში (ფეხ-საცმელი), კ. წკიპურტიშვილი ქუთაისში (თმისაგან ნაკეთობისათვის), ფარ. კაცაძე ქუთაისში (ქუდები) მართა სისაური თიანეთში (საფენისათვის), მართა ხიზანოვი იქვე (იმისთვისვე), კნ. ნ. ნ. თუმანოვისა (ხალიჩებისათვის), ქეთევან ისაკ არსენაშვილი ტფ. (სურათების მოსართავისათვის), წულობა პაპინოვი (ფეხსაცმელებისათ.), ტარ. დ. გაბუნია ქუთაისში (არაყისათვის), ტფ. პირველ დედათა გიმნაზია (ხელსაქნარებისათვის), ტფ. რკინის გზის დედათა ორ-კლასიანი სკოლა (ბალიშის პირებზე ნაკერებისათვის), აწყურის სამრევლო საეკკლესიო სკოლას, (ლენტებისათვის და სხვ.), ახალციხის საქველ-მოქმედო საზოგადოების დაწყებითი დედათა სკოლა; ზაქათალის უმეტესი სახელოსნო სკოლა, ახალ-გორის სოფლის სკოლა (კრუჟევებისათვის), ვერისა, ავლაბრის ქალაქის დაწყებითი სკოლები და პირველი საკვირაო სკოლა ტფილისში (თეთრეულისათვის), 2-რე საკვირაო სკოლა ტფილისში (ქსოვა-უთოობისათვის), კავკასიის დედათა გიმნაზია (ხატვისათვის), სოხუმის საქალაქო სკოლა ხატვის სამუშევრებისათვის), ტფილისის დედათა წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელი (ხატვისათვის), თავ. გ. და ნ. მ. მელიქიშვილები სიღნაღში (კრამიტისათვის, ჯანაშვილი ტფ. (კირისათვის), ტფ. ჯარის რკინის გზის სამმართველო.

(შემდეგი იქნება.)

ს ი ა

ქართველ ექსპონატებისა, რომელნიც კავკასიის სამეურნეო გამოფენაზე დაჯილდოვებულ იქმნენ:

საპატიო დიპლომებით.

ბათუმის სახელოსნო სასწავლებელი (აბრეშუმის სხვა-და-სხვა ნიმუშის ქსოვილებისა, მედურგლეობის, ზეინკლობის და სხვა კარგ სახელოსნო ნაწარმოებისათვის), ტფილისის საპროფესიონალო დედათა სასწავლებელი (კარგის სწავლების დამზადებისათვის), ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობა გამოფენისათვის სხვა-და-სხვა ექსპონატების შეკრებისათვის და სხ.), ტფილისის მეორე კლასიკური გიმნაზია, ტფილისის პირველი ვაჟთა კლასიკური გიმნაზია, ამიერ კავკასიის სამოსწავლო სემინარია გორში (აღზრდის საქმის კარგად დაყენებისათვის), ტფილისის დედათა წმ. ნინოს საქველ-მოქმედო საზოგადოების საბჭო (მისი დედათა განათლებაზე მუდამ ზრუნვისათვის), დ, ზ. სარაჯიშვილი ტფილისში (კონიაკისა და სხვა სპირტის სასმელების წარმოების კარგად დაყენებისათვის),

პატარა ოქროს მედლებით:

ოზურგეთის მაზრაში ა. და გ. შარაძის ცოხის სასოფლო სამეურნეო 2 კლასიანი სკოლა, (მეღვინე-მევენახეობისა და ამ დარგიდან ხალხში ცოდნის გავრცელებისათვის), წინამძღვრიანთ კარის სკოლა (საზოგადოდ მეურნეობისათვის), ბათუმის საქალაქო ბაღის მებაღე ხოშტარია (კარგი ჯიშის ხეების გაშენებისათვის), ილ. იოს. ქაჩლიშვილი (ხილეულობისათვის), დ. ზ. სარაჯიშვილი (ვენახის იხვების მოშენებისათვის), ალ. ივ. საგინაშვილი ტფილ. მაზრაში (მატყლისათვის), ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა (აბრეშუმეულობის ნაწარმოებისათვის), მარ. ავეტ. სარაჯიშვილისა (ხელოვნურ ყვავილებისათვის), ტფილისის საეპარქიო სანთლის ქარხანა (თაფლის სანთლისათვის), მიხეილის სატეხნიკო რკინის გზის სასწავლებელი ტფილისში, ტფილისის პირველი საკვირაო სკოლა (სწავლის კარგად დაყენებისათვის), ტფილისის მიწის მზომელი სასწავლებელი; ქუთაისის საპროფესიონალო ე. ა. კორძაიას სკოლა (დარაიებისათვის), ნადეჟდას ბავშვთა თავშესაფარი ტფილისში (რუსულ კრუჟევოებისათვის), ზემო ჭალის სასწავლებელი ტფილისის რეალური სასწავლებელი (ხატვა ქსოვილების ხაზვისა და სხვა ნაწარმოებთათვის), თფილისის დედათა 1 გიმნაზია, ტფილისის საქალაქო 6 კლასიანი მეორე სასწავლებელი, მხატვარი თოიძე (ხატვაში ნიჭის გამოჩენისათვის (ТАЛАНТЪ) და ტფილისის მიხეილის სამკურნალო

ვერცხლის დიდი მედლებით:

თავ. ერმ. კაც. ნაკაშიძე ქუთაისის გუბერნიაში (სამარხვო საჭმელ ხორბლეულობის კოლექციის შედგენისათვის თავის მამულში), ევსტ. სულხ. ვახვახიშვილი, მიხ. სოლომ. ჩოლოყაშვილი (მეღვინეობისათვის), სამეგრელოს საქალაქო სასწავლებელი ფოთში (წიწვიანი ხე).

ტფილისის საბაღოსნო სკოლა (მებაღეობის), სოფ. ტყვიავი გორის მაზრაში, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს გამორჩევით ერთს ამ სოფლის მეურნე გლეხის ოჯახობას (მშვენიერი ხილის მოყვანისთვის), გ. ი. სერებრიაკოვი (ტყის მასალის წარმოება), თავ, გ. ი. ორბელიანი (ცხენის კინკმინელიკისათვის), ნიკ. ივ, გაზელი სოფ. მუსიკალში (შვეიცარიულ ყველისათვის), ალ. ივ. საგინაშვილი ტფ. გუბერნიაში (თუშურ ყველისათვის), ქუთაისის სამასწავლებლო სემინარია ხონში (წერისა, ხატვისა და სხვ.), ტფილისის დედათა მესამე გიმნაზია (ხელ საქნარებისათვის), ტფ. დედათა წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელი (ხატვისა და კარგის ხელ-საქნარებისათვის), ტფ. ქალაქის სოფლის სკოლა საქველ-მოქმედო საზოგადოებისა (ხელ-საქნარებისათვის), კუკიის ქალაქის სასწავლებელი (კერვა), ტფ. ალექსანდრეს სახელობის ბავშვთა თავშესაფარი, კარდანახის სამრევლო "საეკკლესიო სკოლა (ბალიშის საპირებისა და სხვ.), ტფ, სახელოსნო სკოლა (ხელოსნობისათვის), ბათუმის ქალაქის თვით-მმართველობა (სავასხოს კარგად დაყენების, და სხვა საქმეებისათვის), გ. პ. ტატიშვილი (ხარატულ ნაწარმოებისათვის), მხატვარი ნიკოლაძე,

ვერცხლის პატარა მედლებით:

თავ, გ. მ. მელიქიშვილი (ბურისათვის), ძ. გ. და ა. ი. ლუარსაბოვები კახეთში (მეღორეობისათვის), ი. ზ. ანდრონიკაშვილი (ღვინო), ი. ი, ჯორჯაძე, ეთიმაშვილი, ნ. რ. სესიაშვილი კახეთში (ღვინოებისათვის), ტირძნისის ორკლასიანი სამრევლო საეკკლესიო სკოლა (ბოსტნეულობის თესლისათვის), თავ. ციციშვილი გორში (თესლები), ზაქათალის უმეტესი სახელოსნო სკოლა (ნერგები), საცხენისის სკოლის სამეურნეო განყოფილება, ბათუმის სასწავლებლის საკგრონომიო განყოფილება, მაღანია სოხუმში (მოხილეობა), თავ. დ. ზ. მელიქიშვილი (ტყის მეურნეობის კარგად დაყენებისათვის), თავ. გ. ი. ორბელიანი (ცხენისათვის), ქუთაისის გუბერნიის სოფ. ჭოლევის მცხოვრები ილია ჭიჭინაძე (დორბის მოშენება), რუსეთის ფრინველების მომშენებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილება, ნ. ტ. მკურნალი (ქათმების მოშენება), ახალციხის საქალაქო სკოლა (ჰოლანდიური ყველი), ფაცაიშვილი სოფ. ჭორგალი თიანეთის მაზრაში (ფშაურ ცხვრის მატყლისათვის), ბახვის ორ კლასიანი სოფლის სასწავლებელი გურიაში (კარგის მეცადინეობისა, მეაბრეშუმეობისა, აბრეშუმის თესლისა და სხვ.), მანსურის სოფლის ნორმალური სკოლა), თავ. ა. ნ. ორბელიანი (ძაღლებისათვის), თავ. ზ. დ. ბარათაშვილი (კარგი მქებარი ძაღლებისათვის), პავლე გვრიტიშვილი ტფილისში სამადნო ნაწარმოებთათვის), მიტროფანე ერმალოზისძეს ლადიძეს ქუთაისში (ხელოვნურ მინერმლურ

ბას. ჯერჯერობით, მანამ ძველი და ახალი წყობილება ვერ დაშორებია ერთმანეთს, მანამ საზოგადოება ვერ შეეთვისა ახალ ვითარებას და მისი ცხოვრება ახალ კალაპოტში არ ჩადგა, ხალხის მეთაურებიც უნდა ერიდებოდენ შინაურ ბრძოლაზედ ძალის დაკარგვას და ძმურად უნდა სცდილობდნენ, ხელი შეუწყონ საზოგადოებას ამ გაურკვეველ მდგომარეობიდგან გამოსასვლელად. ყოველი სვინიდისიერი ადამიანი უნდა ჰფიქრობდეს, რომ [illegible] სიტყვის თქმა ასეთ დროს ძნელია და საშიშიც, ვინაიდგან მას შეუძლია გზა დაუბნიოს საზოგადოებას. უდროვოდ მიცემული წამალი სნეულს საწამლავად გადაექცევა.

ვისაც წინმსვლელობის იმედი არა აქვს, საზოგადო მოღვაწედ არ ვარგა... ვინც არის გატაცებული ცხოვრებასთან დაშორებულ იდეალებით და არ არის ნაჩვევი ყოველსავე მოვლენას მისი მოსალოდნელი შედეგი შეუტყოს, დაისახოს საზოგადოებისათვის საკეთილდღეო იდეალი და ამ იდეალის მისაღწევად ყოველგვარი საშუალება იხმაროს, ხან ცხადი, ხან კიდევ ფარული, მაგრამ ყოველთვის ხალხისათვის უვნებელი,—ის არ არის მომზადებული საზოგადო მოღვაწეობისათვის... ვინც არის გატაცებული ხალხის კეთილდღეობით და, რაც მოადგება ენაზედ ხალხისათვის ითქო სასიკეთო, ყველაფერს დაუფიქრებად იტყვის და ამით საქმეს ხშირად უფრო წაახდენს, საზოგადო ასპარეზზედ ხშირად მავნებელია...

საზოგადოებას სჭირია მეთაურად ძლიერი სულის პატრონი, ხალხისთვის თავდადებული და ხალხის კეთილდღეობის სურვილით გატაცებული. საზოგადოებას სჭირია თავის თავის პატივისცემა და წინმსვლელობის იმედი. მაშინ ხალხიც ცხოვრების ნამდვილ გზას ადვილად გაიგნებს და მტკიცე და ჩქარის ნაბიჯით დაიწყებს მასზედ სვლას...

გ. თუმანიშვილი.

---

2)

ბიბლიოთეკის დაარსება

(შემდეგი)

სალამოს ათის ნახევარზედა
მოგროვდნენ, როგორც იყო, ყველანი:
თავის უცვლელის კავალრებითა
საქველ მოქმედო საქმეთ დედანი.
სალამ-ამბორის შემდეგ წევრებმა
იწყეს ჩურჩული: „თქვენ სთქვით! —არა,თქვენ!“
მერე წამოდგა ჩუმის ლოცვითა
კნეინა: „ღმერთო, აწ ნუ შემარცხვენ!“

კნ. თაფლო (ხმის კანკალით.)

ჩვენ, ბატონებო, მოვედით აქა,
შევიყარენით... ისიმე... მერე?
მერე ისა, რომ... რა ჰქვიან.. გუშინ
ყველას წერილი მისთვის მივწერე
რომ დასწრებოდნენ დღევანდელს კრებას,
რომ შევსდგომოდით იმის სმენასა,
რომ... აჰა, ღმერთო! ნეტა ვიცოდე,
რა დაემართა დღეს ჩემს ენასა?!..

ფხუკუშვილი

წყალი მიირთვით! აღელვებული
ვგონებ ბრძანდებით.

კნ. თაფლო

დიაღ, ცოტათი!..
ჰო, მას ვამბობდი, რომ აქ მოვედით,
შევიყარენით რისთვის და რათა?

ერთი რქოსანი მეორეს

ეს ჩვენა გვკითხავს, ჩვენ კიდევ იმას...
აზრი გაექცა, არ იცის, რა თქვას!

კნ. თაფლო (უცბად და მხურვალეთ)

ახ, ბატონებო, ჩვენ ქალები ვართ.
რაღა თქმა უნდა აჲ ამათ გარდა!
სტყუის, მიჰქარავს იგი, ვინც ამბობს,
რომ ქალთა ჭკუა მთლად გადაგვარდა!
პირიქით! ეხლა ამერიკაში
ყველგან პირველობს, იცით ვინ?—ქალი!
სიმდიდრით, ცოდნით თუ განათლებით..
იქ ქალი გახლავთ ძვირფასი თვალი!
ეს რა?.. იმავე ამერიკაში
თურმე ქალები შალვრებს იცვამენ,
ქმრების წუწუნსა ყურს არ უგდებენ
მამა კაცურად სჭამენ და სვამენ!.. (პაუზა)

რქოსანი (ჩუმათ)

შორს რათ მიდიხარ მაგალითისთვის?
მე აქ არა ვარ ქმარი ჩაგრული:
ცოლი დღე და ღამ მლანძღავს, მასთანვე,
შთანთქა ვეშაპებრ ჩემი მამული!..

კნ. თაფლო (აღფრთოვანებით)

აბა, ქალებო, ფრთები შევისხათ,
სამშობლო ელის ჩვენგან შველასა!
ხალხი ბედკრული ჩვენზე ლოცულობს,
ჩვენზე უჭირავს თვალი ყველასა!
(ტაშის ცემა)
გმადლობთ!... უჭირავს, დიაღ, უჭირავს..
ქვეყნის იმედი-ჩვენ ქალები ვართ!
და... ერთის სიტყვით ბიბლიოთეკა
ჩვენ დავაარსოთ, თუ ღმერთი გიყვართ!
(მძიმედ დაეშვება სავარძელზე)

დრეჭაძე (ჩუმათ მეზობლებს)

ხომ არა მდრუზეს მე თავში კეტი?
ცნობას ვერ მოვეღ, დამეხვა რეტი.
აქაურიო, იქაურიო
ძმაო, მასესხე მე შაურიო!.. (სიცილი)

ტვინთხელი

ნება მიბოძეთ.., ყური დამიგდეთ!
კნეინა თაფლომ მშვენივრათ ბრძანა,
რომ ჩვენ ქალები, შევიყარენით
და გავახარეთ ამით ქვეყანა.
მიგრამ უნდა ვსთქვა, რომე კნეინა
დღეს ვერ მუშაობს კარგათ ენითა,
(ირონიულად)
თუმც ორატორი ჩვენმა კრებამა
დააჯილდოვა ტაშის ცემითა!
(მოძრაობა)
შურით არ ვამბობ, ჩემს თავსა ვფიცავ,
საქმე პრინციპში გახლავთ, პრინციპში!

ფხუკუშვილი (დრეჭაძეს)

სად ქალი, ძმაო, და სად, პრინციპი,
დაჯდეს დივანზე, ჭამოს ქიშმიში.
(მხოლოდ ფხუკუშვილი იცინის)

ტვინთხელი (ტკბილად).

მე, ბატონებო, დიდიხანია
მოღვაწეობას შევსწირე თავი,
გაზომილი მაქვს ტანჯვისა გზები,
მინახავს ბევრი კარგი და ავი...
დღე და ღამ იმის ფიქრში გახლავართ,
თუ რით ვუშველო ჩვენს ხალხს დაცემულს,
რა მოუხერხო ჩვენს ტურფა მხარეს
ბუმბერაზულსა ძილსა მიცემულს!
სახელოსნოებს, შკოლებს ვფარველობ,
დაარსდა სადმე წრე—მე იქა ვარ,
თავმჯდომარეობ, საქმეს ვარიგებ,
საც არ მიწვევენ—იქაც მივდივარ...

დრეჭაძე (ჩუმათ)

ამას კი მართალს ამბობ, დობილო,
გიყვარს გარევა შენ სხვის საქმეში.

კნ. თაფლო (ჩუმათ, მაგრამ გარკვევით)

ამ ჯოჯოს კვეხნა ისე მაბრაზებს,
ლამის მივვარდე და ვწვდე მას თმებში!

ტვინთხელი

რაო? რას ამბობთ, კნეინა თაფლო?
ჯოჯო-ო?... ვინა?.. მე-ე?.. თქვენ ბრძანებთ...

კნ. თაფლო.

რა მოგეჩვენათ?.. არა მითქვამს-რა,
დაო, ნუ ჰყვირით და ცილს ნუ მწამებთ!

გ. მაჩაშვილი.

(დასასრული იქნება)

---

*) იხ. ივ № 224.

იხ. ივერია № 270

წულებისათვის), სოხუმის დედათა პროგიმნაზია (თეთრეულისათვის), ქუთაისის დედათა წმ. ნინოს სასწავლებელი (თეთრეული), ზემო ავჭალის მცირე წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელი ახალშენი, ქვემო ჭალის ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი, ხაშურის ორკლასიანი რკინის გზის სასწავლებელი, ახალსენაკის ნორმალური სასწავლებელი ქუთ. გუბერნიაში, ოზურგეთის ქალაქის სასწავლებელი, მხატვარი ნ. მრევლიშვილი (ტილოზე მხატვრობისათვის), ქ-ნი იოსავასა (ხელოვნურად ფერადებით ამოქსოვილ „თამარა“ და „დემონის“ სურათებისათვის), ვ. გ. უაფლანი ბათუმში, თავ. ი. მ. სუმბათაშვილი ტფილისში, ტფილისის სახელოსნო სასწავლებელი (ავეჯეულობისათვის).

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ მოსკოვის ქართველ სტუდენტების მაგივრათ ყველა იმათ, ვინც კეთილ ინებეს და თავიანთ ნაწარმოების თითო წიგნი გამოგვიგზავნეს; აგრეთვე—„ცნობის-ფურცელ-მოამბეს“, „კვალის“, „მწყემსის“, „Новое Обозрѣніе“-სა და „Сельское Хозяйство“-ს რედაქტორებს, რომელთაც თავიანთი ჟურნალ-გაზეთები ან სულ უსასყიდლოთ ან და ნახევარ ფასად დაგვითმეს, რითაც ჩვენ, შორს მყოფნი, დაგვაახლოვეს ჩვენს ძვირფას ქვეყანას მით, რომ შეძლება მოგვცეს თვალ-ყური დადევნოთ მის მაჯის ცემას, რაც მიუცილებლად საჭიროა ყოველ ქართველისათვის, სადაც უნდა სცხოვრობდეს.

იმედი გვაქვს ჩვენი ავტორები და წიგნების დამბეჭდელნი, აგრეთვე რედაქტორ-გამომცემელნი შემდეგშიაც არ დაგვივიწყებენ.

მოსკოვის ქართველ სტუდენტების მონდობილობით სტ. სილ. **გაბუნია.**

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

15 დეკემბერი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესადა ჰბრძანა: მდინარე ამურის მარცხენა ნაპირას მდებარე ადგილი, ეგრედ წოდებული ზაზეისკის მხარე, ამურის ჯარს მიეცეს დასასახლებლად, რადგანაც ამ ჯარის ყაზახებმა ჩინეთთან ომის დროს დიდი მამაცობა გამოიჩინეს.

გენერალი გროდეკოვი იტყობინება: ამბავი მივიღე, რომ ერთს სოფ. ლუმდენში ხუნხუზები გამაგრებულან და მორჩილებას არ გვიცხადებენო. მაშინვე 150-დე ჯარის-კაცი გავგზავნე. ხუნხუზებს (რიცხვით 60 კაცს) ძლიერ მედგარი წინაალმდეგობა გაეწიათ. ჩვენ 4 კაცი დაგვეჭრეს და 3 თუ 4 მოგვიკლეს. ხუნხუზებს—41 კაცი მოვუკალით.

განჯა. მდინარე მტკვრის პირად, შამხორს ახლო, პოლიციას შეტაკება მოჰსვლია ორ გამოქცეულ ყაჩაღთან. ერთი, სახელად სოიუნი, მოუკლავთ, მეორე დაუჭრიათ.

სოფია. სამინისტროს საქმე უთუოთ ასე გათავდება: ეხლანდელი სამინისტრო ისევ დარჩება, ხოლო ზოგიერთთა მინისტრის მაგიერად სტამბულოვის მომხრეებს მიიწვევენ.

საერო კრებას 14 დეკემბერს დაითხოვენ უთუოდ, რადგანაც სულ ერთია, ვადა ხვალ გაუთავდება.

ლონდონი. „Standart“-ს ატყობინებენ დურბანიდან: ბურების უფროსი დანიელ შელკვივი სამხედრო სასამართლოს დადგენილებით თოფით დახვრიტეს კრიუგერსდოფში, რომელსაც ვითომ დაჭრილ პოლიციელისათვის თოფი ესროლოს, როდესაც პოლიციელი დაჰნებებია და იარაღი დაუყრია.

ნიუ-იორკი. როგორც სანტ-იაგოდან იუწყებიან, ბუენოს-აირესში რევოლუცია მომხდარა *).

პეტერბურგი. რუსეთის ბუნების მეტყველთა და მკურნალთა მე-XI კრების დროს, 20-დან 30 დეკემბრამდე, უნივერსიტეტის შენობაში,—სადაც კრება იმართება—საფოსტო-სატელეგრაფო კანტორა დააწესეს. წერილები კრების წევრთა სახელობაზედ ამ კანტორაში უნდა იგზავნებოდეს ზედ-წარწერით: XI კრება, მოთხოვნამდე“.

გარეშე საქმეთა მინისტრი 15 დეკემბერს ჩერნოგორიის თავად ნიკოლოზთან იყო სადარბაზოდ.—15 დეკემბერს საღამოს 6 საათზედ ჩერნოგორიის თავადი ნიკოლოზი საზღვარ-გარედ წავიდა.

15 დეკემბერს, დილის მე-3საათზე, საათჩის და მანგუბის თამბაქოს ფაბრიკას ცეცხლი წაეკიდა. ცეცხლმა ორი სართული გაანადგურა, დაღვრილმა წყალმა ფაბრიკა დიდათ დააზიანა. მუშაობა შეაყენეს. ფაბრიკა დაზღვეულია. ზარალი საკმაოთ დიდია.

გზათა მინისტრი შორეულ-აღმოსავლეთში წავიდა.

იაკუტსკი. მამონტის გამოსაკვლევად გაგზავნილი ექსპედიცია კოლიმსკის ოლქში მივიდა, მამონტი წამოიღო და დიდის გაჭირვების შემდეგ სრედნე-კოლიმსკში დაბრუნდა. მამონტი მამალია, შუა ხნისა იქნება; ჩონჩხი და ტყავი თითქმის მთლად შეჰნახვია; მოკლე ბანჯგვლიანი კუდი აქვს; ფაშვში, კბილებში და ენაზე მოუნელებელი საჭმელი შერჩენია, მამონტს გაჰყინავენ და პეტერბურგში ისე წაიღებენ.

ქრისტიანია. „ვარდენს განგ“-ი სწერს: გარეშე საქმეთა მინისტრმა ლაგერგეიმმა ურჩია ნორვეგიის მინისტრს ბლერს, საერთო კომისია დავაწესოთო, რომელშიაც ნორვეგიამ და შვეციამ ორ-ორი კაცი ამოირჩიოს და მივანდოთ, რომ ეხლანდელ საერთო საკონსულოების გაუქმებაზე მოილაპარაკონო. ნორვეგიას ჰსურს, კონსულები თავისთვის ცალკე ჰყვანდეს, შვეცია-კი თხოულობს, თუ ვინიცობაა ცალკე საკონსულოები დავაწესოთ, უმთავრეს ზედამხედველად მაინც ისევ შვეცია იყოსო. ხსენებულმა კომისიამ ორივე ქვეყნის სურვილი უნდა მიიღოს მხედველობაში.

სტანდერტონი. გენერალ სპენსის ქვეითა რაზმს, ერმელოს ოლქში, ბურები დაეცნენ მოულოდნელად, 10 კაცი მოუკლეს და 15 დაუჭრეს.

ლონდონი. ლონდონის ახალს სამხედრო კორპუსში იქნება 1,500 ოფიცერი და 35,304 ჯარის-კაცი; ახალს ჯარს 1,183 ცხენი ეყოლება და 90 ზარბაზანი ექნება.

ნიუ-იორკი. მექსიკიდან იტყობინებიან, მთელის ამერიკის კონგრესის დელეგატები სამედიატორო სასამართლოს თაობაზე შეთანხმდენო. შეთანხმებას საფუძვლად გააგის კონვენცია დაუდვეს, რადგანაც კონვენცია ყველა იმ სახელმწიფოებმა მიიღეს, რომლებსაც დელეგატები ჰყავთ კონგრესზედ.

ბუენოს-აირესი. „გავასის სააგენტოს“ სწერენ 14 დეკემბრის რიცხვით: ქალაქში (ბუენოს-აირესში) მშვიდობიანობაა, მაინც დიდძალი პოლიციელი დააყენეს ფეხზედ, რომ ხალხმა მანიფესტაციები არ მოახდინოს.

16 დეკემბერი

კოპენჰაგენი. ბანკების დირექტორებმა ჰეიდემ და გლუკშტადტმა, აქაურ აღმოსავლეთ აზიის საზოგადოების დირექტორმა ანდერსენმა და მდიდარ ვაჭართა წარმომადგენლებმა სინდიკატი შეადგინეს, რომელიც ეკონომიურად დაეხმარება ვესტ-ინდიის კუნძულებს, თუ ამ კუნძულებს შეერთებულს შტატებს არ მიჰყიდიან. სინდიკატს დიდი ფული აქვს.

ლონდონი. დევეტის თავდასხმის დროს ტვიფონტეინთან ინგლისელებს შემდეგი ზარალი მოუვიდათ: 6 ოფიცერი და 32 ჯარის-კაცი მოკლულია, 9 ოფიცერი დაჭრილია, ᲓᲐ 4 არსად სჩანს. მეტი ცნობები ზარალის შესახებ ჯერ არ მიგვიღია.

ლონდონი. ტვიფონტეინთან ბრძოლის შესახებ კიტჩენერი სწერს: „მაიორი უილიამსი, რომელსაც ფირმანსის იქ არ ყოფნის გამო ებარა მთავარ-სარდლობა, დაბანაკდა მეტად ალმაცერა მთის სამხრეთ მხარეს; ინგლისის ფორპოსტებმა დაიჭირეს მთის კალთა და, თუმცა ეს ადგილი მიუვალია, მაინც კიდევ გაამაგრეს; აღმოჩნდა, რომ ბურები აცოცდნენ თურმე სამხრეთიდგან მთაზედ და შეგროვდნენ მთის წვეროზე; შემდეგ უეცრად, ნაშუადღევის ორ საათზედ, დიდის რიცხვით დაეცნენ ზემოდ მდგომს ინგლისელს დარაჯებს. ბანაკში მყოფმა ინგლისელებმა ვერ მოასწრეს კარვებიდან გამოსვლა, რომ ბურები უკვე მოეფინენ მთელს ბანაკს, დაუწყეს ხოცვა ხალხს და კარვები დაუშალეს; ინგლისის ოფიცრები ებრძოდნენ ბურებს და სცდილობდნენ მათს გაფანტვას, მაგრამ ბურები მეტად ბევრნი იყვნენ. პიკეტების განადგურების შემდეგ ყოველივე უპირატესობა ბურების მხარეს აღმოჩნდა. მოკლულთა და დაჭრილ ინგლისელთ, რიცხვი, ამათთან ერთად, ვინც ეხლა უშიშარს ადგილას იმყოფება, ელანდსრივერბრიჯში, შეადგენს მთელის კოლონნის ნახევარს, დანარჩენები ტყვედ წაიყვანეს. გამოქცეულმა ინგლისელმა ოფიცერმა შეგვატყობინა, ორი ეტლი ვნახე მოკლულ და დაჭრილ ბურებით სავსეო, ბურებს დავადევნეთ მცირე მხედრობა. ბურებმა მიაღწიეს ლანგბერგს, სადაც ინგლისელები ველარას გააწყობდნენ ბურებთან, მელთა რიცხვიც მეტი იყო.“

ლონდონი. პიკეტბერგრაადიდან ამბავი მოვიდა, რომ 15 დეკემბერს, კაპის-ახალშენის დასავლეთით მყოფი ბურები, რიცხვით 700 კაცი, 9 და 10 დეკემბერს ტერონისა, ვანრენსბურგისა, ვოოსტისა და სმით პიტერსის სარდლობით კალვინიოში მიმავალს ინგლისელებს დაეცნენ იმ დროს, როცა ესენი ვიწრო და გრძელის ხეობით მიდიოდნენ; ბურებმა მხოლოდ ერთი ეტლი წაართვეს, შემდეგ განდევნილ იქმნენ; ბურებს 5 კაცი მოუკლეს და 20-ზე მეტი დაუჭრეს.

სოფია. კაბინეტის სახელით მიცემული თხოვნა კარაველოვისა სამსახურიდგან გადადგომის შესახებ ჯერ არ არის შეწყნარებული. მთავარმა მიიღო საერო კრების პრეზიდენტი ბალაბანოვი. პარლამენტის სესია, რომლის ვადაც დღეს გათავდა, 22 დეკემბრამდე გასტანს.

კიევი. 14 დეკემბერს, დილის 9 საათზედ, დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ კადეტთა კორპუსი და აგრეთვე ვლადიმირის საკრებულო ტაძარი ინახულა.

17 დეკემბერი.

პეტერბურგი. დეკემბრის 16 იქმნა გარდახდილი 50 წლის სალიტერატურო საზოგადო მოღვაწეობის იუბილე ვეინბერგისა. მეიუბილეს მიართვეს 22 ადრესი, ოქროს გვირგვინი რუსეთის დრამატიულ მწერლებისა და საოპერო კომპოზიტორებისაგან, ორი ალბომი, ბრინჯაოს ქანდაკება წარწერით „მეგობრებისა და პატივის მცემლებისაგან“ და დიდი სურათი მეიუბილესი. 6 საათზედ კონტანის რესტორანში სადილი იქმნა გამართული.

მოსკოვი. აღმოაჩინეს მკვლელობა მთელის ოჯახისა: 44 წლის დედისა და ქალებისა—18 და 17 წლისა. მკვლელი თვითონ შვილივე გამოდგა, რომელსაც სახლიდგან 500 მან. მოუპარნია და თავისს საყვარლისათვის საჩუქრები უყიდნია. ბოროტ-მოქმედს მკვლელობით ქურდობის დაფარვა სდომებია და პოლიციაშიაც ასე გამოუცხადებია— ვითომ გაძარცვის განზრახვით დაუხოცნიათ.

ვარშავა. ვარშავასა და ლოძს შუა ტელეფონი 1-ლ იანვრიდან დაიწყებს მოქმედებას.

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ გარდასწყვიტა ვარშავაში მერძეობის ინსტიტუტი გახსნას იმავე ტიპისა, როგორებიც ფინლიანდიაში არსებობს.

ჰელსინგფორსი. ხელმწიფე იმპერატორმა დეკემბრის 7 უმაღლესად ჰბრძანა, რომ ლენროტს ჰელსინგფორსში ძეგლი დაუდგან. უმაღლესი ბრძანებით სამსახურიდგან დათხოვნილ იქმნენ ფინლიანდიის საბაჟო უწყების უმთავრესი დირექტორი ვინტერი და უმთავრესი დირექტორი საპატიმროთა უწყებისა გრიპენბერგი. „**Финляндская Газета**“ იუწყება, რომ დეკემბრის 7 გამოუციათ უმაღლესი ბრძანება სამხედრო ბეგრის ახალ წესდების ადრეს-პროექტის შესახებ, რომელზედაც, სხვათა შორის, ხელი უწერია ბევრს ადგილობრივს მოხელეს. ადრეს-პროექტი უშედეგოდ იქმნა დატოვებული. მანარქიულის ნდობით მოსილს თანამდებობაზედ დანიშვნის დროს თუ რომ ადგილობრივ მცხოვრებთაგან ღირსეული კანდიდატი არ აღმოჩნდება, მაშინ ასეთს თანამდებობაზე იმპერიის სხვა მცხოვრებნი უნდა იქმნენ ხოლმე დანიშნულნი.

ორიოლი. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად ხმის უმეტესობით მ. ა. სტახოვიჩი იქმნა არჩეული.

უფა. გუბერნიის საერობო კრება დასრულდა. სულ განხილულ იქმნა 120 მოხსენება.

ჩისტოპოლი. დიდის თოვლებისა და ქარბუქისა გამო სოფლებთან მიმოსვლა გაძნელებულია. პურები აღარ შემოაქვთ.

ლოძი. ლოძის მიდამოებში შემოდგომის ნათესებს კარგი პირი უჩანს. პურის ნაკლებობა ამ მხარეში დიდია. საკვების უქონლობისა გამო ბევრი საქონელს ჰყიდის.

პეტროზავოდსკი. გუბერნიის საერობო კრება დასრულდა, სულ 16 მოხსენება იქმნა განხილული.

ვორონეჟი. ზამთარი არ არის, წვიმებია.

ლონდონი. კიტჩენერი იუწყება იოჰანესბურგიდან, რომ ტვიფონტეინში ტყვედ წაყვანილი ინგლისელები გაუნთავისუფლებიათ და ბეთლემში მისულან.

ნიუ-იორკი. როგორც ჩილიდგან სანტ-იაგოში მიღებული ცნობები იუწყებიან, არგენტინის ელჩი პორტელა ბუენოს-აირესიდგან დღეს თურმე გამოვა.

ვილმსტადტი. როგორც მიღებულ ცნობებიდგანა სჩანს, ვენეცუელაში რევოლიუცია თურმე ვრცელდება. მთელი მხარე აჯანყებულიაო. ყოველ-დღე მოელიან, რომ გენერალი მატსი, ხელმძღვანელი ინსურგენტთა მოძრაობისა, მალე მოვა და თან საომარს იარაღსა და საზრდოს მოიტანს. ვენეცუელის მთავრობამ მიწერილობა გაგზავნა, რომ გერმანელთა რეინის გზის ლიანდაგზედ მოძრაობა შეწყვეტილ იქმნეს, რადგანაც საზოგადოებამ ჯარების გადაყვანაზედ უარი განაცხადა, ვიდრე შესაძლებელს ზარალს წინდევე არ აუზღავდნენ.

ნიუ-იორკი. როგორც ვილემსტადტიდგან იუწყებიან დეპეშით, კარაკასაში მყოფს გერმანიის საელჩოს ვენეცუელის მთავრობისათვის დიდი წინაამდეგობა განუცხადებია იმის გამო, რომ რკინის გზის მოძრაობა შეწყვეტილ იქმნა.

თეირანი. სპარსეთის მთავრობამ რუსეთის ბანკში 578,144 მანეთის ოქრო შეიტანა. ეს ფული 1900 წლის რუსეთის სესხის ნახევარ წლის შესატანი სარგებელი და გარდასახადია, რომელსაც ვადა 21 დეკემბერს გასდიოდა.

---

*) ეს დეპეშები ტელეგრაფმა დააგვიანა.

ტპეტრბურგის ბირჟა, 14 დეკემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,65
ბერლინში 100 მარკაში.	45,92½
პარიში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,45
ბერლინში „	46,30
პარიზში „	37,55
ბირჟის დისკონტი	5½—7%
4% სახელმწიფო რენტა	96⅛ გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა. . . .	—
5% 1-ლ შინ გ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	474 გაყიდ.
% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	358 გაყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საა გ.-მამ. ბანკისა.	244 მყიდვ.
3½% გირავ. ფდურც. იმავე ბანკისა	87⅞ გაყიდ.
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფუცლ. . . .	87⅜ გაყიდ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9300 წვრ. გაყ.
აქციები „	470 „
„ კასპიის ამხანაგობისა.	358 „
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	324 „
„ ა. ი. მანთაშევისა ᲓᲐ ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. . . .	151 „

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მისის თანადასწრებით 18 ამა დეკემბერს, შუადღის 12 საათზედ, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით ბეტონის წყლის მილის გაკეთება, 34,00 საჟენისა (0,375×0,25 დიამეტრისა); მილი დაიწყება აწ არსებულიდგან ვოზნესენსკის ქუჩაზე, გაივლის შინდისის ვიწრო ქუჩით კამოევის სახლამდე; სამუშაოს ღირებულება 720 მან.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, დაწვრილებით პირობებს [illegible] შეუძლიან გამგეობის აღმშენებელს განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღე 3 მდე. (ნ.—3—1)

საყმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეცამეტე

გამოვა 1902 წელსაც თვეში ერთხელ იმავ
პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თბილის
საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლ
რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებ
ში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თბილისში დატარები
ღირს 4 მან. თფილისს გარეშე გაგზავნით
მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოთ წლით
ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **თფილისში**—„წერა-კითხვის გამ. ს
ზოგადოების“ კანცელარიაში (**Дворцовая ул
д. Груз. Двор., № 101**), და თვით „ჯეჯ
ლი“-ს რედაქციაში (**Артилер. ул., № 5,
злѣ Кадетскаго корпуса**).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ
„акцію грузинскаго дѣтскаго журна
д Джеджили“.*

მკურნალი

ნ. ტ. მუღინი.

იღებს ყურითა, ყელითა და ცხვირით ავ
მყოფებს ყოველ-დღე ნაშუადღეეის 1—3
ათამდე და საღამოს 4—8-მდე. სუდებ
№ 17.

(წლ.

Съ разрѣшенія главнаго управленія по дѣламъ печати

понижена подписная плата

НА

ежедневную полит. и литерат. газету

„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

Какъ для городскихъ, такъ и для иногороднихъ подписчиковъ подпис
плата: за годъ—7 р. за полгода—4 р., 3 мѣс.—2 р. 50 к., 2 мѣс.— 2
1 мѣсъ. 1 р., отдѣльный № въ тифлисѣ—3 коп., внѣ Тифлиса—5 коп,

Допускаетсся **разсрочка платежа**: къ 1-му января—4 р., къ 1-му іюня—3

Для сельскихъ учителей, народныхъ и школьныхъ библіотекъ, благотвори
льныхъ учрежденій сдѣлана скидка: год. плата для иногороднихъ—6 ру
для городскихъ—5 руб.

Программа газеты, сотрудники и другія условія изданія останутся пре
нія.

Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа каждаго м
сяца. Подписка принимается **въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты, Барятинская ул., д. №**

ОТКРЫТА ПОДПИСКА

1902 г. годъ X

НА ЖУРНАЛЪ

„ВОПРОСЫ ФИЛОСОФІ

И

ПСИХОЛОГІИ“

Изданіе Московскаго Психологическаго Общества

при содѣйствіи С.-Петербургскаго Философскаго Общества.

Журналъ издается на прежнихъ основаніяхъ подъ редакціею *кн. С. Н. Трубецкаго и Л. Н. Лапатина.*

Съ 1-го января 1902 г. поступитъ въ продажу „Сборникъ статей, посвященныхъ памяти Вл. С
Соловьева“ (№ 57 Вопросъ Ф. и П.), Съ портретомъ. Ц. 3 р.

ВЪ „ВОПРОСАХЪ ФИЛОСОФІИ и ПСИХОЛОГІИ“

принимаютъ участіе слѣдующіе лица:

Н. А. Абрикосовъ, Ю. И. Айхенвальдъ, В. Анри, Н. Н. Баженовъ, Ѳ. Д. Батюшковъ,
Бекетовъ, А. Н. Бернштейнъ, П. Д. Боборыкинъ, Е. А. Бобровъ, С. Н. Булгаковъ, В.
Бупке, А. С. Бѣлкинъ, В. А. Вагнеръ, В. Э. Вальденбергъ, А. В. Васильевъ, А-дръ И. Введе
скій, Д. В. Викторовъ, Н. Д. Виноградовъ, П. Г. Виноградовъ, В. И. Герье, А. Н. Гиляров
В. А. Гольцевъ, Л. О. Даркшевичъ, В. В. Джонстонъ, Н. А. Звѣревъ, Ѳ. А. Зеленогорскі
В. Н. Ивановскій, Н. А. Иванцовъ, А. П. Казанскій, М. И. Каринскій, Н. И. Карѣев
В. О. Ключевскій, А. Я. Кожевниковъ, Я. Н. Колубовскій, Ѳ. Е. Коршъ, Н. Н. Ланге,
Ломброзо, Л. М. Лопатинъ, С. М. Лукьяновъ, П. Н. Милюковъ, П. В. Мокіевскій, П. И. Но
городцевъ, Л. Е. Оболенскій, Д. Н. Овсянико-Куликовскій, И. Ф. Огневъ, Э. Л. Радлов
В. П. Сербскій, В. С. Серебрениковъ, П. П. Соколовъ, С. А. Соллертинскій, Ф. В. Софронов
Г. Е. Струве, П. Б. Струве, С. А. Сухановъ, П. В. Тихомировъ, гр. Л. Н. Толстой, кн. Е.
Трубецкой, кн. С. Н. Трубецкой, Н. А. Умовъ, Г. И. Челпановъ, Б. Н. Чичеринъ, Н. Ѳ. Ш
таловъ, Н. И. Шишкинъ и др.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ: На годъ (съ 1-го января 1902 г. по 1-е января 1903 г.) бе
доставки—6 р., съ доставкой въ Москвѣ—6 р. 50 к., съ пересылкой въ другіе города—7
за границу—8 р.

Учащіеся въ высшихъ учебныхъ заведеніяхъ, сельскіе учителя и сельскіе священники по
зуются скидкой въ 2 р. Подписка на льготныхъ условіяхъ и льготная выписка старыхъ год
журнала принимается только въ конторѣ редакціи.

Подписка принимается въ конторѣ журнала: Москва, М. Никитская, Георгіевскій пер.,
Соловьевой, и книжныхъ, магазиновъ «Русской Мысли», «Новаго Времени» (С.-Петербургъ, М
ква, Одесса и Харьковъ), Карбасникова (С.-Пб., Москва, Варшава), Вольфа (С.-Пб. и Моск
Оглоблина (Кіевъ), Башмакова (Казань) и другихъ.

Редакторы: Кн. С. Н. Трубецкой.
Л. М. Лопатинъ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17-го Декабря 1901 г. გაზეთ „ტფილისის ფურცლის“ და ძმ. ხელაძის სტამბა, ლორ.-მელიქ. ქუჩა. დროებითი რედაქტორი ა. სარაჯიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძ